ყოველდღიური გაზეთი

# ახალი თაობა

Akhali Taoba

akhalitaoba.ge

ეროვნული ბიბლიოთეკა

## 2023 წლის სექტემბრიდან სკოლაში შესვლის შესაძლებლობა იმ ბავშვებსაც ექნებათ, რომლებსაც 6 წელი 1-ელ ნოემბრამდე უსრულდებათ

გვ.5



ოთხშაბათი, 19 აპრილი, 2023

№75 (9111)

ფასი: 80 თეთრი

# „კალაძე ქალაქს კლავს!“





ვატო სურგულაძე: „ყველა სისტემა ჩამოიშალა. ვერც ეს რეფერალური ფასები ვერ მუშაობს. თურქული მედიკამენტები ისევ გაძვირდა. გზები გვენგრევა, ხიდი ააშენეს და ბურჯი მოსტყდა“



გვ.2

## „აუცილებელია ბრძოლის ქუჩაში გადატანა!“



ლაშა ჩხარტიშვილი: „სამი არჩევნებია, რაც „ოცნება“ ხალხის არჩევანის წინააღმდეგ მიდის“

გვ.4

## „12-პუნქტიანი გეგმა არ სრულდება, დიდი ხანია გაჩერებულია“

ვახტანგ მეგრელიშვილი: „ნაციონალური მოძრაობა ფაქტობრივად აღარ არსებობს. ოპოზიციამ რესტარტი უნდა გააკეთოს“



გვ.3

## „მესამე მსოფლიო ომი არ იქნება“



გვ.3

ვახტანგ მაისაია: „ამერიკაში საიდუმლო მასალების გაჟონვის უკან რუსეთისა და „ვაგნერის“ სპეცსამსახურები დგანან“



## ირაკლი ღარიბაშვილი: „ჩვენი მოქალაქე, ყოფილი თავდაცვის მინისტრი, ბატონი კეზერაშვილი, უკვე საერთაშორისო დონის თაღლითად არის მოხსენიებული“

გვ.5

## „რუსეთში მობილიზაციის მეორე ტალღის პრობლემა დგება“

„საერთაშორისო თანამეგობრობისათვის უკრაინის კონტრშეტევას პოლიტიკური მნიშვნელობა აქვს“



გვ.4

## სახლში ბავშვები იმყოფებოდნენ — ძლიერი ხანძარი თბილისში



გვ.5

**5** 18 წლის ბიჭი, რომელმაც ახმეტაში 71 წლის მეზობელს სანადირო თოფით სასიკვდილო ჭრილობა მიაყენა, დაკავებულია

**2** სარესტორნო ბიზნესიდან კადრებმა ქოლ-ცენტრებში გადაინაცვლეს

**7** საქართველოს ჰოკეის ნაკრების ორი მოგება

**6** ზელენსკიმ მთავარვაბანაკის სხდომა მოიწვია

ეროვნული ბიბლიოთეკა

# „კალაძე ქალაქს კლავს!“

## ვატო სურგულაძე: „ყველა სისტემა ჩამოიშალა. ვერც ეს რეფერალური ფასები ვერ მუშაობს. თურქული მედიკამენტები ისევ გაძვირდა. გზები გვენგრევა, ხიდი ააშენეს და ბურჯი მოსტყდა“

ნონა ცაბაძე

„ახალი თაობის“ კითხვებს ჯანდაცვის ექსპერტი ვატო სურგულაძე პასუხობს.



***– ბატონო ვატო, როგორ აფასებთ რესპუბლიკური საავადმყოფოს ირგვლივ განვითარებულ პროცესებს? თქვენთვისაც ცნობილია, რომ გადადგა კლინიკის დირექტორი. თითქოს ხელისუფლებამაც უკან დაიხია. ასე სასწრაფო დემონტაჟი არავის გამოუცხადებიაო. რა ხდება, მიხვდნენ, რომ შეცდომა დაუშვეს, იჩქარეს და უკან დაიხიეს? რასთან გვაქვს საქმე?***

– როგორც ყოველთვის, დაუდევრობასთან, არაპროფესიონალიზმთან და უპასუხისმგებლობასთან. სანამ ამხელა განცხადებას გააკეთებ ამხელა კაცი, მინისტრი რომ ჰგონია თავისი თავი, ჯერ ხომ უნდა დაფიქრდე და გათვალო, რა და როგორ. გათვლილი არაფერი არა აქვთ. რა იქნება, დემონტაჟი თუ გაკეთდება, არავითარი ხარჯთაღრიცხვა, რა დაჯდება ეს პროექტი, არ გაუკეთებიათ. გასულ კვირას რომ ჰქონდათ ე.წ. პრეზენტაცია, 15 წუთში დაამთავრეს. საერთოდ არაფერზე არ ჰქონდათ ნაფიქრალი, აბსოლუტურად არაფერზე. ისიც არ მესმის, რატომ გააკეთეს ჰოლიდეინში. მათ ადგილას მე მივიდოდი, რესპუბლიკურ საავადმყოფოს ძალიან დიდი ჰოლი აქვს და სწორედ იქ ჩავატარებდი ამ ღონისძიებას, თანაც 600-ვე კაცი დაესწრებოდა. ახლა კი არ უნდა გაეკეთებინათ პრეზენტაცია, არამედ თებერვალში, სანამ იმ სისულელეს იტყოდნენ. ეს იყო აბსოლუტურად დაუფიქრებელი და გაუთვლელი. ანერვიულეს ეს ხალხი და სრულიად არაფრის გამო ატეხეს ამხელა ამბავი.

***– რის მცდელობა ჰქონდათ?***

– ჩემი აზრით, ე.წ. დაზვერვა ჩაატარეს, აბა, ამას რომ ვიტყვით, რა რეაქცია ექნებათო. ასეთ რეაგირებას არ ელოდნენ და, შესაბამისად, სხვა გამოსავალი არ ჰქონდათ, უკან დაიხიეს. არანაირი გათვლილი ნაბიჯი, დაანგარიშება, რომ ჰკითხოთ, რა დაჯდება ან როდის დასრულდება, ან ამ ხალხს რას უშვრები? – არცერთ შეკითხვაზე ამ პრეზენტაციაზე პასუხი არ იყო. ძალიან სამარცხვინო პრეზენტაცია იყო. შეხვდნენ რამდენიმე თანამშრომელს, რომლებიც ამ საპროტესტო აქციების ლიდერები არიან და ჯერ არაფერი არ ხდება, არ მიგვიღია გადაწყვეტილება, თქვენთან ერთად გადავწყვეტთო. უბრალოდ, მოსინჯეს ნიადაგი, აბა, რას იტყოდნენ იქ მომუშავე ექიმები.

***– ანუ, რადგან ასეთი მწვავე რეაქცია და პროტესტი მიიღეს, უკან დაიხიეს?***

– დიახ, ზუსტად ასეა. თუ არავინ ხმას არ ამოიღებდა, დაანგრევდნენ და, არ გამოვრიცხავ, რომ სულაც სასტუმრო ან საცხოვრებელი კორპუსების აშენება უნდოდათ, ის, რაც მთელ თბილისში ხდება. იმას, რასაც ესენი აკეთებენ, ურბიციდი ჰქვია. მიმდინარეობს ქალაქის მკვლელობა!

***– საშინელება ხდება. ეს კიდევ ცალკე მტკივნეული თემაა.***

– ურბიციდი ხდება! კალაძე ქალაქს კლავს! დიახ, კალაძე და მისი ე.წ. გუნდი, რაღაც რომ ჰგონიათ თავი და არაფერი არ იციან, კლავენ ქალაქს და ურბიციდი – ტერმინიც კი არსებობს ასეთი, ქალაქის მოკვლა. ყველგან ბეტონი, ამდენი საცობი. ადამიანი ნატოში უფრო მარტივად შევა, ვიდრე ჩვენს საზოგადოებრივ ტრანსპორტში. სრული კოშმარია. სამარშრუტო ტაქსებზე რა ქნეს, მთლიანად სარეკლამო აბრებიააკრეს და აღარც ფანჯარა ილება და გზასაც ვერ ხედავს მგზავრი. ისედაც მცირე მოცულობაა და იგუდება შიგნით ადამიანი. ზოგს თავბრუ ეხვევა და ზოგს გული მისდის. აქაც ზუსტად იგივე მომენტია, რაღაცას აკეთებენ და – აბსოლუტურად წინდაუხედავად. არ იციან, ამას რა შედეგი მოჰყვება.

***– თვითონ არ იციან და მრჩეველიც არა ჰყავთ?***

– არა ჰყავთ, უბედურებაც ეგ არის. არაკომპეტენტური და გაუნათლებელია ზუსტად ის ადამიანი, რომელიც ფიქრობს, რომ ყველაფერი იცის და არავინ არ სჭირდება, ყველაზე ჭკვიანია. ეს არის ჩვენი პრობლემა, არაფერი არ იციან! თბილისი ვერასოდეს ვერ გახდება ველოსიპედების ქალაქი. არ არის თბილისი სამტრედია! არა, ესენი მაინც აგრძელებენ ამ უაზრო ველობილიკების გაკეთებას, რომელზეც არავინ არ დადის და არც ივლის. თითო-ოროლა თუ გაივლის. მითხარით, როგორ წარმოგიდგენიათ, ველოსიპედით ახვიდეთ ნუცუბიძის პლატოზე ან სვანეთის უბანში? გინდაც მთაწმინდაზე ან გმირთა მოედნიდან ვაკეში?! ეს ხომ ძალიან რთულია და ამაზე არ ფიქრობენ. ნახა რაღაც მილანში და, გინდა თუ არა, თბილისში ასე უნდა, რომ გააკეთოს. ყველა სფეროში ამდენი უცოდინარი საიდან შეიკრიბა. ზუსტად იგივე პრობლემებია ჯანდაცვაშიც.

***– ბატონო ვატო, რესპუბლიკური საავადმყოფოს თემას რომ დავუბრუნდეთ, როგორ ფიქრობთ, გადაიდება ამ კლინიკის დემონტაჟი?***

– უკან დაიხიეს. ახლა გაჩერდებიან. ეს მინისტრიც მალე გადადგება, მერე სხვა მინისტრი მოვა და მას მოუვა თავში ახალი იდეები.

***– ზოგადად ძალიან ცუდი სიტუაციაა. ვისმენთ შეფასებებს, რომ ჯანდაცვის სისტემა მთლიანად ჩამოიშალა.***

– ყველა სისტემა ჩამოიშალა. ვერც ეს რეფერალური ფასები ვერ მუშაობს. თურქული მედიკამენტები ისევ გაძვირდა. ირგვლივ ყველაფერი ჩამოიშალა. გზები გვენგრევა, ხიდი ააშენეს და ბურჯი მოსტყდა. თურმე რაშია საქმე, რიონი ადიდდაო. რა, რიონი არ ადიდებულა ჯერ არასდროს?! ყველა მიმართულებით აქვთ სრული ჩავარდნა. ჯანდაცვა და განათლება ყველაზე მტკივნეულია, რა თქმა უნდა! განათლებაშიც კატასტროფული ჩავარდნები გვაქვს. თვითონ არ იციან, რას აკეთებენ. მედიკამენტებზე ეს ზედა ზღვარი რომ შემოიღეს, ონკოლოგიური დაავადების ერთ-ერთი მედიკამენტი ერთი აბი ღირდა ლარი და ათი თეთრი. ამათ რეფერენტული ფასი დაადეს – 3 ლარი და 80 თეთრი.

***– უფრო გაზარდეს ფასი?***

– დიახ. კომპანიები ადგნენ, ასწიეს ფასი და ეს ნორმალურიც არის. რატომ ასწიეთ ფასებიო, პრემიერ-მინისტრმა პსპ-ს ხელმძღვანელობას რომ უსაყვედურა. თქვენ თვითონ თქვით, ამაზე მეტი არ დაადოთო და მეტი ხომ არ დამიდიაო?! ვერ შეედავები.

***– ყველა ნაბიჯი გაუთვლელია?***

– რატომ, თუ იცით? იმიტომ, რომ არაკომპეტენტური და უპასუხისმგებლო ხალხი მართავს ყველა სისტემას! სკვერებიო, გაიძახიან და რა, სკვერები ვჭამოთ?! ხალხი რა დღეშია, ვის სცალია სკვერებში სასიარულოდ. სასწაული ხდება. ყველა მიმართულებით სრული კოლაფსი გვაქვს!

***– თანაც ძალიან დიდი დეფიციტი შეიქმნა მედიკამენტებზე. ელემენტარული წნევის დამწევი წამლები აღარ არის აფთიაქებში.***

– დიახ, ასეა. დავუშვათ, გინდათ, რომ ერთი თვის მარაგი იყიდოთ, 30 აბი. ვერ იყიდი ერთ აფთიაქში. ზოგან ათია, ზოგან ხუთი და ასე უნდა იარო და მოაგროვო. მე ამაზე ვაფრთხილებდი, რომ შეიქმნება დეფიციტი, ბაზრიდან გაქრება ხარისხიანი და ბრენდული მედიკამენტები. ზუსტად მასე მოხდა. შენ არ იცი და ვიღაცას მაინც დაუძახე და ჰკითხე. თუნდაც ამ დიდ ფარმაცევტულ კომპანიებს. დაელაპარაკე, მოუსმინე. ისინი დაუხატავდნენ მოსალოდნელ რისკებს. თუმცა არავის არ დაუძახეს და არც აზრი ჰკითხეს. ებრაელების წყევლაა, შენი არ იცოდე და სხვისი არ გესმოდესო. აი, ზუსტად ეგ სჭირთ. ასე არიან დაწყევლილები. ახლა, როგორც გავიგე, 37– სართულიანი კორპუსების აშენებას აპირებენ დელისზე, მეტროს თავზე. სრული კატასტროფა იქნება! იქნებ ჩამოინგრეს და მეტროში ჩავიდეს. არსად არაფერი გათვლილი არ არის.

# ირაკლი ღარიბაშვილი: „ვიწყებთ ქალაქებისა და კურორტების განვითარების მასშტაბურ სახელმწიფო პროგრამას“

– ქალაქებისა და კურორტების განვითარების მასშტაბურ სახელმწიფო პროგრამას ვიწყებთ, რომელიც 5-წლიანი იქნება და ბიუჯეტიდან გამოიყოფა 1 მილიარდი ლარი, – ამის შესახებ საქართველოს პრემიერ-მინისტრმა ირაკლი ღარიბაშვილმა მთავრობის სხდომაზე განაცხადა.

როგორც პრემიერ-მინისტრმა აღნიშნა, პროგრამის ფარგლებში ბორჯომში, ბაკურიანში, ქუთაისში, წყალტუბოში, თელავში, ზუგდიდში, ბათუმში, მცხეთაში, სტეფანწმინდაში, მესტიასა და ყაზბეგში შენობებს, კულტურულ და ისტორიულ ობიექტებს რეაბილიტაცია-რეკონსტრუქცია ჩაუტარდება, ასევე მოეწყობა ახალი რეკრეაციული სივრცეები, არსებული კი განახლდება.



– მე მინდა, რამდენიმე საკითხზე გავაკეთო კომენტარი და გაგაცნოთ ძალიან მნიშვნელოვანი ინიციატივა, რომელსაც დღეს ოფიციალურად დავიწყებთ, დავაანონსებთ. მანამდე გეტყვით, რომ ჩვენ ორი წლის წინ დავიწყეთ ყველა მუნიციპალიტეტში ურბანული განახლების პროგრამა. 63 მუნიციპალიტეტში ჩატარდა აღნიშნული სამუშაოები, განახლდა ცენტრები, მოეწყო სკვერები და ძალიან მასშტაბური სამუშაოები იქნა ჩატარებული. ამ პროგრამისთვის, გახსოვთ, რომ ჩვენ 500 მილიონი ლარი გამოვყავით. ჯერ კიდევ გრძელდება რამდენიმე მუნიციპალიტეტში აღნიშნული პროგრამა და ახლა ჩვენ ვიწყებთ უფრო მასშტაბურ სახელმწიფო პროგრამას – ქალაქებისა და კურორტების განვითარების პროგრამა, რომელიც იქნება 5-წლიანი და ბიუჯეტიდან გამოიყოფა 1 მილიარდი ლარი. ჩვენ ამ მიზნით გვაქვს უკვე გამოყოფილი წელს 200 მილიონი ლარი. შერჩეული გვაქვს 11 მდებარეობა, ლოკაცია, მე მინდა გაცნობოთ ამის თაობაზე – ეს არის ბორჯომი, ბაკურიანი, ქუთაისი, წყალტუბო, თელავი, ზუგდიდი, ბათუმი, მცხეთა, სტეფანწმინდა, მესტია და ყაზბეგის მუნიციპალიტეტები. სამუშაოებს ჩვენ დავიწყებთ ძალიან მალე. ამის თაობაზე უფრო მოგვიანებით მოგახსენებთ დეტალურად, შემუშავდება კონცეფციები, მუნიციპალური განვითარების ფონდი დაიწყებს მუშაობას აქტიურად ამ პროგრამის განხორციელებაზე, შევარჩევთ საუკეთესო არქიტექტორებს, მშენებლებს. ჩაუტარდება შენობებს, კულტურულ და ისტორიულ ობიექტებს რეაბილიტაცია-რეკონსტრუქცია. ასევე, ახალი და არსებული რეკრეაციული სივრცეები მოეწყობა, განახლდება, ისევე როგორც საზოგადოებრივი თავშეყრის ადგილები და ახალი ტურისტული ატრაქციები შეიქმნება. ჩვენი მთავარი ამოცანა უნდა იყოს, ჩვენი ქვეყანა ეტაპობრივად გარდავქმნათ რეალურად ევროპული ტიპის სახელმწიფოდ. ეს უნდა იყოს კარგად მოვლილი, განვითარებული, ლამაზი სახელმწიფო, ქალაქები, რაიონები, სოფლები. აი, ეს არის ჩვენი გეგმა. როგორც მოგახსენეთ, 200 მილიონი ლარი გამოიყოფა წელსვე. სამუშაოებს დაიწყებს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტრო, მუნიციპალური განვითარების ფონდი და ძალიან მალე ვიხილავთ შედეგებს, – განაცხადა ირაკლი ღარიბაშვილმა.

მთავრობის მეთაურმა ასევე ისაუბრა მაღალ ეკონომიკურ ზრდასა და ტურიზმის მიმართულებით არსებულ პოზიტიურ და ოპტიმისტურ მონაცემებზე.

ირაკლი ღარიბაშვილმა საუბრისას ყურადღება ასევე გაამახვილა ფასების დარეგულირებაზე და ხაზი გაუსვა, რომ ამ მიმართულებით აქტიურად მიმდინარეობს მუშაობა.

– იცით, რომ ჩვენ აქტიურად ვმუშაობთ ფასების დარეგულირებაზე, ფასების კლებაზე. ფასებმა დაიწია მნიშვნელოვნად საწვავზე, პროდუქტებზე, სურსათზე, პურზეც. მინდა, ყველას მადლობა გადავუხადო, ვინც მთავრობას ამ პოლიტიკის განხორციელებაში გამოჰყვა და საკმაოდ ადეკვატური ნაბიჯები გადაიდგა მათი მხრიდანაც. ასე რომ, ჩვენი ამოცანა უნდა იყოს ჩვენი ნიშნულის, ინფლაციის 5%-იანი ნიშნულის შენარჩუნება წელს, მაღალი ეკონომიკური ზრდის შენარჩუნება და, როგორც მოგახსენეთ, ახლა ასეთი მნიშვნელოვანი, მასშტაბური პროექტების კეთება, – განაცხადა მთავრობის მეთაურმა.

პრემიერმა ასევე ისაუბრა ანაკლიის პორტის მშენებლობაზე.

# სარესტორნო ბიზნესიდან კადრებმა ქოლ-ცენტრებში გადაინაცვლეს

„ახალგაზრდები, რომლებმაც იციან ინგლისური და ადამიანებთან ურთიერთობა, თითქმის ყველა დასაქმებული ყოფილა ქოლ-ცენტრებში“ – ამის შესახებ „გირჩის“ ერთ-ერთმა ლიდერმა, დეპუტატმა ჰერმან საბომ პარლამენტში პლენარულ სხდომაზე გამოსვლისას განაცხადა.



მისი თქმით, ძალიან მნიშვნელოვანია საქართველოს მოქალაქეებმა იცოდნენ, რომ ამ მასშტაბის სქემა „ქართული ოცნების“ გარეშე ვერ მოხდებოდა.

– ბოლო რამდენიმე წელია, სარესტორნო ბიზნესში ხდება ძალიან უცნაური რამ, ჩათვალეთ, რომ ოფიციანტები, ბარმენები და სხვა, მომსახურე პერსონალი ფაქტობრივად, გამქრალია. ეს საკმაოდ უცნაურად გამოიყურებოდა, მაგრამ მეორეს მხრივ, ბოლო პოლიტიკურ სკანდალს რომ დავუკავშიროთ, ახალგაზრდები, რომლებმაც იციან ინგლისური და ადამიანებთან ურთიერთობა, თითქმის ყველა დასაქმებული ყოფილა ქოლ-ცენტრებში. ეს იმხელა მასშტაბის თაღლითობაა და იმ მასშტაბის თანხებზეა საუბარი, რომ ჩვენს პატარა ეკონომიკაში, ისეთივე ნათელი უნდა იყოს, როგორც სარესტორნო ბიზნესის კადრების დეფიციტი.

თაღლითობისა და თანხის მასშტაბი იმხელაა, რომ კითხვებს აჩენს, მაგალითად, რეზერვები რომ მაქსიმუმზე გვაქვს, ამაში რა წილი აქვთ ამ ქოლ-ცენტრებს, დოლარის კურსი რომ დაეცა, მიუხედავად მაღალი ინფლაციისა, იმაში როგორი წილი აქვთ ამ ქოლ-ცენტრებს....

იმდენად პატარა ეკონომიკა გვაქვს, რომ შეუძლებელია, ამხელა ფულის ქვეყანაში შემოდინებას არ ჰქონდეს პირდაპირი და ირიბი გავლენა, როგორც სარესტორნო ბიზნესზე ჰქონდა გავლენა, როცა ადამიანები გაქრნენ. მთელს ამ სიტუაციაში, გასაგები იქნება, რომ ყველა ისარი გადაიტანოთ ბატონ კეზერაშვილზე, რომელიც მთავარი ეჭვმიტანილია ამ ქოლ-ცენტრებში და მთელი ტალახი მას შეაწმინდოთ, მაგრამ ფიზიკურად შეუძლებელია, ამხელა მასშტაბის ამბავი ხდებოდეს ქვეყანაში თქვენთან შეთანხმების გარეშე. თქვენ ფიზიკურად ვერ შეძლებთ თქვათ, რომ ქალაქის ცენტრიდან 500-600 ადამიანი ყოველდღე რეკავდა ევროპაში და ეს არ იცოდა „ქართული ოცნების“ ტოპმენეჯმენტმა და უსაფრთხოების სამსახურებმა. ძალიან უხერხულ სიტუაციაში ხართ და ისევე, როგორც ბატონ კეზერაშვილს მოუწევს პასუხის გაცემა და წარდგომა სასამართლოს წინაშე, ისე მოგიწევთ თქვენც პასუხის გაცემა. ასეთ პატარა ქვეყანაში, ასეთ პატარა ეკონომიკაში ამხელა ამბავი ხდებოდა და თქვენ არ იცოდით? ჩემი აზრით, თქვენ იცოდით, რაღაც შეთანხმების ნაწილი იყო და ძალიან მნიშვნელოვანია, საქართველოს მოქალაქეებმა იცოდნენ, რომ ეს თქვენ გარეშე ვერ მოხდებოდა, – განაცხადა საბომ.

ISSN 1987-9385
9 771987 938006
ახალი თაობა
გამოდის 1993 წლის 23 ივლისიდან
მთავარი რედაქტორი – სოსო გოგინაშვილი
რედაქტორი – ლალი ასლანიშვილი
ხაფინანსო სამსახური – კლარა ბალავაძე
დირექტორი – ზურაბ ბერიძე
სარეკლამო სამსახური – 599-532-690
გავრცელების სამსახური – მერაბ ლევერაშვილი
ვებგვერდი: akhalitaoba.ge
ელ-ფოსტა: axtaoba@gmail.com
ტელეფონი: 599-532-690

რედაქციაში შემოსული მასალები არ რეცენზირდება და ავტორებს არ უბრუნდება. რედაქციის თანხმობის გარეშე გაზეთში დაბეჭდილი მასალების, სურათების და სარეკლამო განცხადებების სრული ან ნაწილობრივი გამოყენება აკრძალულია. სტატიაში გამოქვეყნებული მასალების სიზუსტეზე პასუხს აგებს ავტორი. საავტორო უფლებები დაცულია.

# „12-პუნქტიანი გეგმა არ სრულდება, დიდი ხანია გაჩერებულია“

## ვახტანგ მეგრელიშვილი: „ნაციონალური მოძრაობა ფაქტობრივად აღარ არსებობს. ოპოზიციამ რესტარტი უნდა გააკეთოს“

ნონა ცაბაძე

**„ახალი თაობის“ კითხვებს „გირჩის“ წევრი ვახტანგ მეგრელიშვილი პასუხობს.**

***– ბატონო ვახტანგ, როგორ აფასებთ ბოლო პერიოდში განვითარებულ პოლიტიკურ პროცესებს? ვისმენთ შეფასებებს, რომ „ქართული ოცნება“ დააფრთხო ამერიკულმა სანქციებმა და პარლამენტში საგამოძიებო კომისიის შექმნას ხელს არ შეუშლიან. რას იტყვით თქვენ, „გირჩი“ უჭერს მხარს?***

– ჩვენ ყველანაირად მხარს ვუჭერთ ამ კომისიის შექმნას. ოთხივენი დარბაზში ვიყავით, თუმცა საკითხი არ გავიდა კენჭისყრაზე. როცა არ უნდა დადგეს კენჭისყრაზე, ამ კომისიას ჩვენი მხარდაჭერა და ჩვენგან ოთხი ხმა ექნება. როცა კომისია შეიქმნება, მასში მონაწილეობასაც აუცილებლად მივიღებთ.

***– როგორ ფიქრობთ, რა გამოვა აქედან, რამდენად შედეგიანი იქნება კომისიის მუშაობა? ბევრი ეჭვის თვალით უყურებს ამ ყველაფერს.***

– წინასწარ რთულია რაიმეს თქმა. ამ პარლამენტში პირველად იქმნება საგამოძიებო კომისია. აქამდე ამის გამოცდილება არ გვქონია. რამდენჯერმე გვქონდა საგამოძიებო კომისიის შექმნის მცდელობა და ახლა ამასთან ყველაზე ახლოს ვართ. აქამდე ეს არ გამოდიოდა და ახლა არის დიდი ალბათობა, რომ ასეთი კომისია ოპოზიციის ხმებით შეიქმნას. აქედან გამომდინარე, ასეთი კომისიის არსებობის არანაირი გამოცდილება არა გვაქვს. ამიტომ წინასწარ პროგნოზირება ძნელია, როგორი იქნება ამ კომისიის მუშაობა.

***– ერთსულოვანია ოპოზიცია?***

– სიტყვიერად ყველა თანახმაა, შეიქმნას საგამოძიებო კომისია და ხმის მიცემის დროს გამოჩნდება, ვინ რა გადაწყვეტილებას მიიღებს.

***– ხელისუფლება აცხადებს, რომ ეს არის პოპულიზმი და შავი პიარი, რომ ოპოზიციას ეს ყველაფერი პოლიტიკური მიზნებისთვის სჭირდება და არა რეალური საქმისთვის. ამაზე რას იტყვით?***

– ეს ყველაფერი ხელისუფლების მძიმე მდგომარეობაზე მიუთითებს. არავის ეჭვი არ ეპარება, რომ ჩვენი სასამართლო სისტემა სულ კონტროლირებული იყო და თავისუფალი არასდროს ყოფილა. მიუხედავად ამისა, ამერიკის სახელმწიფო დეპარტამენტს მსგავსი ნაბიჯი არ გადაუდგამს. პირიქით, ისინი სულ გვეხმარებოდნენ ამ სისტემის აწყობაში. ისინი კარგად არიან ინფორმირებულნი. სწორედ მათი დახმარებით მიდიოდა რეფორმების ტალღები. ასეთი კრიტიკული შეფასება ადრე არ ყოფილა და ამ ყველაფერზე პასუხისმგებელი, ბუნებრივია, ხელისუფლებაა. დღეისათვის ამ კომისიის შექმნა ძალიან მნიშვნელოვანი საკითხია.

***– რამდენად შეუშლის ეს პროცესი ხელს 12-პუნქტიანი გეგმის შესრულებას?***

– 12-პუნქტიანი გეგმა ისედაც არ სრულდება, დიდი ხანია გაჩერებულია ეს პროცესი. ჩვენ გვქონდა მცდელობა, თავის დროზე მონაწილეობა მიგვეღო ამ პროცესში. ჩვენ ეს სიტუაცია საჯარო გავხადეთ, ვმონაწილეობდით კომისიებში. თუმცა, შედეგი ის დადგა, რომ „ქართული ოცნება“ საერთოდ არ ითვალისწინებდა ოპოზიციის წარმოდგენებს. მათ ამ 12 პუნქტის მექანიკური შესრულება მოინდომეს. შინაარსობრივად ამას არც ევროპელები აღიარებენ, როცა ამის დრო დადგება. მე მგონია, რომ 12-პუნქტიანი გეგმის შესრულებას ხელს ვერაფერი შეუშლის, რადგან ის ისედაც არ სრულდება. პირიქით, თუ ჩვენ მოვახერხებთ, რომ პოლიტიკაში სიცოცხლე შემოვიტანოთ, მხოლოდ ამ შემთხვევაში ექნება იმ 12 პუნქტიდან რაღაც პუნქტებს შესრულების შანსი, თორემ უბრალოდ 12 პუნქტისთვის არაფერიც არ მოხდება. რაც არ სრულდება, იმას რა საფრთხე უნდა დაემუქროს?!

***– ბატონო ვახტანგ, ხელისუფლების პოზიცია გასაგებია. რას იტყვით ოპოზიციაზე? არც ის არის სახარბიელო მდგომარეობაში. რამდენად შეძლებს ოპოზიცია, დაანახოს საზოგადოებას, რომ მათ ერთად საქმის კეთება შეუძლიათ? ბოლო სკანდალებმა ოპოზიციაც არანაკლებ დააზარალა.***

– როგორც აღმოჩნდა, ოპოზიციაშიც არ არის ყველაფერი რიგზე. კეზერაშვილის სკანდალი სერიოზული ამბავია. ამ ბოლო პროცესებიდან გამომდინარე, როგორც აღმოჩნდა, ხელისუფლება დიდი ხანია ერევა ოპოზიციის შიდა საქმეებში. წარმოიდგინეთ, რომ ქვეყანაში ხდება ისეთი დანაშაული, რომელიც ბიბისი-ს ფილმში ვიხილეთ. ეს შეუძლებელია ყოფილიყო სუს-ის და ძალოვანი უწყებების მონაწილეობის გარეშე. თუ გავითვალისწინებთ, რაც ხდება, რიგით ადამიანებს უსმენენ, აქედან გამომდინარე, ეს ძალიან მნიშვნელოვნად ცვლის სურათს. წარმოიდგინეთ, ერთადერთი, რაზეც დგას დღეს „ქართული



ოცნება“, ეს არის ოპოზიციის სისუსტე. ფაქტობრივად, მას ხელისუფლებაში ყოფნის ლეგიტიმაცია არა აქვს, მაგრამ ხელისუფლებაში რჩება იმიტომ, რომ ალტერნატივა არა ჩანს.

***– რატომ არა ჩანს ალტერნატივა?***

– ალტერნატივა კი იმიტომ არა ჩანს, რომ სკანდალი სკანდალზე ხდება ოპოზიციაში. განსაკუთრებით იმ ოპოზიციას ვგულისხმობ, რომელსაც აქვს ფაქტობრივად ყველა ოპოზიციური მედიასაშუალება და ყველაზე დიდი ოპოზიციური პარტიისა და მიხეილ სააკაშვილის ქოლგის ქვეშ არის. ეს მარტო ნაციონალური მოძრაობა არ არის, არიან სხვა პარტიებიც, რომლებიც ანალოგიური დაფინანსებით არიან, ანუ ზუსტად იგივე დაფინანსების მიღების წყარო აქვთ. მათი საქმიანობა რაღაცნაირად კოორდინირებულია. ეს კოორდინირებული საქმიანობა კი, როგორც ბოლო წლების გამოცდილებამ აჩვენა, არის „ქართული ოცნების“ მთავარი დასაყრდენი. ისეთ აუხსნელ სისულელეებს ჩადიოდა ოპოზიცია ამ პერიოდის განმავლობაში, ვგულისხმობ ნაცმოძრაობასა და მასთან ასოცირებულ ჯგუფებს, რომ გაოგნებული ვიყავით, ვერ ვხვდებოდით, ასეთი ნაბიჯების გადადგმა როგორ შეიძლებოდა. დღეს ამის ახსნა შესაძლებელია.

***– რით ხსნით ამას?***

– იმით, რომ ოპოზიციის ზედა ეშელონები, დამფინანსებლები და „ქართული ოცნება“ არიან ინფილტრირებულნი და, აქედან გამომდინარე, ის გაუგებრობები, რომლებსაც ოპოზიცია ჩადიოდა ამ პერიოდის განმავლობაში, ის რომ არ ლაპარაკობდა, უფრო დიდი ცენზურაა ოპოზიციურ მედიაში, ვიდრე სახელისუფლებოში. ეს ყველაფერი ხომ ხელისუფლებას აწყობს! ამ ყველაფრის მერე ოპოზიციამ რაღაცნაირად რესტარტი უნდა გააკეთოს.

***– ანუ კეზერაშვილი თანამშრომლობდა ხელისუფლებასთან და ბოლოს რაღაცაზე ვერ შეთანხმდნენ?***

– თანამშრომლობდნენ. ამას სხვა ახსნა არა აქვს, ხოლო რაღაცაზე რომ ვერ შეთანხმდნენ, მე ასე არ ვფიქრობ. მე მგონი, ბიბისი-ს რეპორტაჟი ორივე მხარისთვის სიურპრიზი იყო. მაგალითად, ეს რომ მომხდარიყო არჩევნებამდე რამდენიმე თვით ან კვირით ადრე, ხომ წარმოგიდგენიათ, ოპოზიცია რა მძიმე მდგომარეობაში იქნებოდა, ახლა წელიწად-ნახევარია არჩევნებამდე და არსებობს შანსი, რომ, ამ მოვლენების გათვალისწინებით, ოპოზიციაში მართლაც რაღაც მოხდეს. ყოველ შემთხვევაში, ნაციონალური მოძრაობა როგორ უნდა შეეგუოს ამ იმიჯს, არ მესმის.

***– ნაციონალური მოძრაობა ახსენეთ და ყოველდღე ვისმენთ შეფასებებს, რომ პარტია შესაძლოა შუაზე გაიხლიჩოს. ახლა საუბარია თავმჯდომარის იმპიჩმენტზეც.***

– ეს პარტია უკვე დიდი ხანია არ არსებობს. ჩვენ რომ ვსაუბრობდით ამაზე, სერიოზულად არავინ გვისმენდა. ამ პარტიაში ფაქტობრივად აღარ არიან პოლიტიკოსები. ეს პარტია წლების განმავლობაში ერთპიროვნული მმართველობის სქემით იმართებოდა. ზუსტად ისეთივეა თავისი შინაარსით, როგორიც – „ქართული ოცნება“. ისინი ძალიან დაემსგავსნენ ერთმანეთს და რეალურად ერთმანეთს კვებავენ. ზუსტად ეს სიმბიოზი უნდა შეწყდეს კეზერაშვილის სკანდალის გამო.

***– კეზერაშვილის შემდეგ მივლენ ხელისუფლებამდეც?***

– რეალურად რომ დავფიქრდეთ, წარმოუდგენელია, ხელისუფლების მონაწილეობის გარეშე რამე ყოფილიყო. ძალიან ბევრი საკითხი დაგროვდა, რომლებსაც პოლიტიკური პასუხი აქვს გასაცემი. კითხვებს პასუხი უნდა გასცენ ნაცმოძრაობაში დარჩენილმა ადამიანებმაც. მოკლედ, ძალიან საინტერესო პროცესი გველოდება.

***– რა ხდება თავდაცვის კოდექსთან დაკავშირებით?***

– როგორც იცით, ამ კვირაში მეორე მოსმენით უნდა განეხილა პარლამენტს, მაგრამ ორი კვირით გადადეს. ამიტომ ჩვენც ჩვენი აქცია, რომელიც 23 აპრილს გვქონდა დაანონსებული, ორი კვირით გადავწიეთ. ჯერჯერობით ბრძოლა გრძელდება. ჯერ არაფერი არ დამთავრებულა.

# „მესამე მსოფლიო ომი არ იქნება“

## ვახტანგ მაისაია: „ამერიკაში საიდუმლო მასალების გაჟონვის უკან რუსეთისა და „ვაგნერის“ სპეცსამსახურები დგანან“

გულიკო ბალაძე

**„ახალი თაობის“ კითხვებს ექსპერტი სამხედრო-პოლიტიკურ და უსაფრთხოების საკითხებში ვახტანგ მაისაია პასუხობს.**

***– ბატონო ვახტანგ, უკრაინის ირგვლივ შექმნილ ვითარებასა და საერთოდ ამერიკისა და ევროპის დამოკიდებულებებზე რას იტყვით? ომის დაწყებიდან ერთ წელზე მეტი გავიდა და დღეს პუტინი ხერსონსა და ლუგანსკში ჩავიდა, ოკუპირებული ტერიტორიების მონახულებას უკვე აღარ ერიდება. მეორე მხრივ, როგორც უკრაინის პრეზიდენტი აცხადებს, დასავლეთიდან უკრაინისთვის იარაღის მიწოდება ფერხდება. შექმნილმა ვითარებამ რა შედეგი შეიძლება მოიტანოს?***

– იარაღის მიწოდების შეფერხებამ შეიძლება უკრაინელებისთვის ვითარება გაართულოს. თუმცა, იარაღის მიწოდების შეფერხებები არც ისე დიდია. თანამედროვე იარაღი უკრაინაში ძირითადად ჩადის. უკრაინელები მათი მეშვეობით ახალი შენაერთების დაკომპლექტებას ახორციელებენ. ასე რომ, ყველაფერი გეგმის მიხედვით მიდის. უკრაინაში შეიარაღების პირველი პარტია უკვე ჩავიდა და ველოდებით, როდის დაიწყება დიდი კონტრშეტევა.

***– ისიც თქვეს, თანამედროვე იარაღის წარმოება თვითონ უკრაინამაც დაიწყოო.***

– უკრაინა იარაღს ისედაც აწარმოებდა. მისთვის იარაღის წარმოება პრობლემა არ იყო. უკრაინას აქვს საკუთარი, ეროვნული, ვთქვათ, შეტევის ტიპის იარაღი, თუ არ ვცდები, „გრომი“, ასევე საზღვაო დანიშნულების ბალისტიკური რაკეტები. ხარკოვის სატანკო ქარხანა საბრძოლო ტანკებსაც უშვებს.

უკრაინას საარტილერიო დანადგარები და დრონებიც აქვს. უკრაინა უკრაინულ საბრძოლო დრონებს აწარმოებს და საკმაოდ ეფექტურადაც, რომლებიც საბრძოლო მოქმედებებში მონაწილეობენ. ბუნებრივია, ყველაფერი დაფიქსირებულია. ჯერჯერობით სიტუაცია იმ გეგმის მიხედვით ვითარდება, რაც გათვალისწინებულია.

უახლოეს პერიოდში რამშტაინის შეხვედრაა დაგეგმილი. ერთმანეთს იმ ქვეყნების თავდაცვის მინისტრები და შეიარაღებული ძალების წარმომადგენლები ხვდებიან, რომლებიც უკრაინას საომარი მოქმედებების წარმოების სფეროში ეხმარებიან. არ ვიცი, ქართველები მონაწილეობენ თუ არა.



***– მგონი, წინა შეხვედრაში მონაწილეობდნენ.***

– კარგია, თუ მონაწილეობდნენ, იმიტომ რომ, როცა „ყირიმის პლატფორმის“ შეხვედრა ჩატარდა, ბუქარესტში (დიდი საერთაშორისო კონფერენცია გაიმართა) შავი ზღვის უსაფრთხოების საკითხებზე, მგონი, ჩვენი დელეგაცია საკმაოდ დაბალი დონის წარმომადგენლებით მონაწილეობდა და საბოლოო დეკლარაციას ხელი არ მოაწერა.

***– როგორც მახსოვს, ჩვენმა დელეგაციამ იმ დეკლარაციას ხელი მოაწერა. დელეგაციას, თუ არ ვცდები, პარლამენტის თავმჯდომარე პაპუაშვილი ხელმძღვანელობდა. დაბალი დონის შემადგენლობა რას ნიშნავს?***

– მინისტრის მოადგილეებით იყო წარმოდგენილი. ორივეგან თავდაცვის მინისტრი უნდა ყოფილიყო, რადგან მაღალი დონის კონფერენცია გაიმართა. ჩვენგან მინისტრის მოადგილე მონაწილეობდა. ეს კი დაბალი დონეა. რამდენადაც ვიცი, ჩვენებმა დეკლარაციასაც ხელი არ მოაწერეს.

***– თქვენ თქვით, უკრაინული ძალების კონტრშეტევას ველოდებითო. მოგეხსენებათ, ამერიკაში საიდუმლო მასალების მასშტაბური გაჟონვა მოხდა, სადაც საუბარი იყო იმაზე, რომ უკრაინას შორსმსროლელ საარტილერიო-სარაკეტო კომპლექსებს არ აძლევენ. ისეთ იარაღზეა საუბარი, რომლითაც შეიძლება რუსეთის ტერიტორიაზე მოხდეს სარაკეტო დარტყმები. ამაზე რას იტყვით?***

– მგონი, გასაგებია, რა ხდება. შესაბამისად, უკრაინას ეს იარაღი არც სჭირდება. არც უკრაინა იკლავს თავს, ასეთი შეიარაღება მიიღოს. იმ შეიარაღების 90%-ს, რომელიც უკრაინას სჭირდება და მოთხოვნილი აქვს, უკრაინელები იღებენ.

უბრალოდ, პრობლემები შეიქმნა საბრძოლო გამანადგურებლების, ამერიკული „ეფ-16-ების“ მიღების კუთხით, რომელიც მნიშვნელოვანი საშუალებაა და მისი მიღება უკრაინისთვის კარგი იქნებოდა. დანარჩენ შეიარაღებას უკრაინა იღებს.

***– ამერიკაში გაჟონილ საიდუმლო დოკუმენტებზე დაყრდნობით უკრაინელების მხრიდან რუსეთის საოკუპაციო ძალებზე კონტრშეტევის სავარაუდო თარიღსაც ასახელებენ. ასეთი საიდუმლო დოკუმენტებისა და ინფორმაციის გაჟონვა კონტრშეტევის ეფექტურობას ხელს არ შეუშლის?***

– რა თქმა უნდა, ნებისმიერი დონის საიდუმლო ინფორმაციის გაჟონვა არ წაადგება იმ საქმეს, რა საქმეზეც ის შეიძლება იყოს მიმართული. მათ შორის, უკრაინის შეტევითი ოპერაციების წარმოებას არ წაადგება, ბუნებრივია.

ამერიკაში საიდუმლო მასალების გაჟონვის უკან რუსეთისა და „ვაგნერის“ სპეცსამსახურები დგანან. შემიძლია ექსკლუზიურად მოგაწოდოთ ინფორმაცია, რომ „ვაგნერის“ ფარგლებში სამი სპეცსამსახური მოქმედებს. ამ ეტაპზე დეტალებს არ გავახმოვანებ.

ამერიკაში საიდუმლო მასალების გაჟონვის ოპერაცია მათ მიერ დაიგეგმა. ამას მაიკროსოფტის პრეზიდენტი აცხადებს. მეც განცხადებას მასზე დაყრდნობით ვაკეთებ. ამ ოპერაციაში „ვაგნერის“ ერთ-ერთი სპეცსამსახურია ჩართული. ყველაფერი ერთ კომპლექსში კეთდება. რუსები ყველანაირად ცდილობენ, არსებული გეგმები ჩაფუშონ.

***– „ვაგნერის“ წარმომადგენელმა პუტინს მოუწოდა, დროა, ომი დამთავრდეს, რაც უნდა გაგვეკეთებინა, უკვე გაკეთებულიაო. ასეთი განცხადება რეალურად რას შეიძლება ემსახურებოდეს?***

– მგონი, ამ ომიდან „ვაგნერის“ გაყვანა უნდათ. საუბარი ვაგნერის გამოყვანაზეა. უნდათ, „ვაგნერი“ გამოვიდეს და თავის პირდაპირ საქმეს მიხედოს, ანუ რუსეთის ფარგლებს გარეთ რუსული სამხედრო-პოლიტიკური ინტერესები დაიცვას.

***– როგორ უნდა დაიცვას, ძალისმიერი მეთოდებით?***

– დიახ, ძალისმიერი მეთოდებით. ეს მისი უშუალო მიზანი იყო, რისთვისაც თავის დროზე „ვაგნერის“ კომპანია შეიქმნა. როგორც ჩანს, მიმართვის მთავარი ტექსტიც ეს იყო, დროა, საქმეში რუსეთის შეიარაღებული ძალების წარმომადგენლები რეალურად ჩაერთონო. პრიგოჟინის ამ განცხადების შემდეგ პუტინი ფრონტის წინა ხაზზე, უკრაინის ოკუპირებულ ტერიტორიაზე ამიტომაც ჩავიდა.

***– სხვათა შორის, დასავლეთის, ამერიკის წინააღმდეგ მიმართული კამპანიის ფონზე (მოგეხსენებათ, დიდი საინფორმაციო შეტევებია, რომ ამერიკის სახელმწიფო ძალიან ცუდ დღეშია, დოლარის კურსი ეცემა, ევროპაში საპროტესტო გამოსვლებია, უკრაინას იარაღი არ მიეწოდოს, რადგან ეს კონფლიქტის ესკალაციას გამოიწვევსო), პროცესში ჩინეთი ერთვება და ჩინეთსა და რუსეთს შორის შეიარაღების თაობაზე მოლაპარაკება იმართება. რა შედეგი იქნება, თუ ამ ვითარებაში ჩინეთი რუსეთის მხარეს დაიჭერს?***

– სხვათა შორის, ჩინეთის ახლად დანიშნული თავდაცვის მინისტრი, არმიის გენერალი ლი შანფუ რუსეთში იმყოფებოდა. მან დააანონსა რუსეთ-ჩინეთის ახალი კავშირის სავარაუდო გაერთიანების თაობაზე. იარაღის მიწოდება-არმიწოდებაზე სხვადასხვა ინფორმაცია ვრცელდება.

მგონი, ჩინეთის თავდაცვის მინისტრი ამერიკის სანქციების ქვეშაა და, როგორც სანქცირებული პიროვნება, რუსეთში ხელცარიელი არ ჩავიდოდა. არაა გამორიცხული, რუსეთს იარაღი გადასცეს.

***– ყოველ შემთხვევაში, ახლა ამბობს, რომ იარაღს არავის გადასცემს.***

– კარგი იქნება.

***– რუსეთისთვის იარაღის გადაცემა რას გამოიწვევს?***

გაგრძელება მე-4 გვერდზე

ეროვნული ბიბლიოთეკა

# „აუცილებელია ბრძოლის ქუჩაში გადატანა!“

## ლაშა ჩხარტიშვილი: „სამი არჩევნებია, რაც „ოცნება“ ხალხის არჩევანის წინააღმდეგ მიდის“

ნათია ხურცილავა

**„ლეიბორისტული პარტიის“ ერთ-ერთი ლიდერი, უფლებადამცველი ლაშა ჩხარტიშვილი „ახალ თაობასთან“ ინტერვიუში ქვეყანაში მიმდინარე პოლიტიკურ პროცესებზე საუბრობს.**



***– ლაშა, მოსამართლეების საკითხზე საპარლამენტო ოპოზიცია საგამოძიებო კომისიის შექმნაზე მზად არის, საკითხი განმეორებით დააყენოს კენჭისყრაზე. ემხრობით საგამოძიებო კომისიის შექმნას?***

– რბილად რომ ვთქვა, არასაპარლამენტო ოპოზიცია კვლავ არაადეკვატურია. ის ფაქტი, რაც მთელმა ქართველმა საზოგადოებამ იცის, ამერიკის სახელმწიფო დეპარტამენტმა ოფიციალურად დაადასტურა და მოსამართლეებს სანქციები დაადო. ამის მერე ვის რაში სჭირდება ლეგიტიმაციის არმქონე პარლამენტის მიერ საგამოძიებო კომისიის დასკვნები?! ცოტა არაადეკვატურობასთან გვაქვს საქმე, ძალიან რბილი და მოზომილი შეფასებით.

საგამოძიებო კომისიის შექმნა, ყველაფერს თავი რომ დავანებოთ, ძალიან ლმობიერი ნაბიჯია ოპოზიციის მხრიდან.

***– რა იქნებოდა ადეკვატური ნაბიჯი?***

– ადეკვატური ნაბიჯი იქნებოდა ამ სანქციების შემდეგ საერთოდ მანდატების დატოვება და „ქართული ოცნების“ საკუთარ თავთან მარტო დატოვება. სრული გაშიშვლება. ამის მზაობა თუ არ ჰყოფნით, ქუჩაში მაინც გადაეტანათ ეს ბრძოლა და ამ მონა მოსამართლეების სახლში გაშვება მაინც მოეთხოვათ. ეს ბევრად უფრო ბრძოლისუნარიანი და შედეგიანი ნაბიჯი იქნებოდა. ახლა ეს კომისია ან შეიქმნება, ან – არა. რომც შეიქმნას, რამდენიმე თვე უნდა იმუშაოს, მერე დასკვნა უნდა დადონ და ვინ აღასრულებს ამ დასკვნას, კობახიძე თუ ღარიბაშვილი?! სასაცილოა ეს ყველაფერი, სატირალი რომ არ იყოს. ამიტომ ვამბობ, აუცილებელია ბრძოლის ქუჩაში გადატანა. ბიუროები და სესიები არაფრის მომტანი არ არის. „ქართულ ოცნებას“ სასესიო დარბაზში და პროცედურული ომებით რომ ვერ მოუგებ, ამას ხომ უნდა მიხვდე ამდენი ხნის შემდეგ.

მრჩება შთაბეჭდილება, რომ საპარლამენტო ოპოზიცია დროის გაწელვას ცდილობს. რა საჭიროა საგამოძიებო კომისია, როდესაც ყველასთვის ყველაფერი ნათელია და შედეგიც დამდგარია. ეს მოსამართლეები სანქცირებულები არიან. რა, ამერიკის გადაწყვეტილებაში ეპარებათ ეჭვი?! პარლამენტში ოპოზიციის მხრიდან ადგილი აქვს ფსევდოაქტიურობას. ეს აქტივობა არ არის შედეგზე გათვლილი. ჩვენ კი შედეგი გვჭირდება, რომ ხალხის მორიგი იმედგაცრუება არ გამოვიწვიოთ. ქართული ანდაზისა არ იყოს – ცუდად ჯდომას ცუდად შრომა სჯობიაო – როგორც ჩანს, ამ შეგონებით მოქმედებენ. მურუსიძესა და ჩინჩალაძეს, რომლებიც იყვნენ წინა რეჟიმის ბოროტების სახე და რომელიც ჩაიხუტა და ცივ ნიავს არ აკრებს ივანიშვილის რეჟიმი, რაში სჭირდება დამატებითი დასკვნების დადება, თან იმ პარლამენტის მიერ, რომელსაც ლეგიტიმაცია არ გააჩნია რუსული კანონპროექტის შემდეგ, მას შემდეგ, რაც ხალხმა ამ პარლამენტს უარი უთხრა. რატომ ვიყრუებთ თავს?!

***– ოპოზიციის ლიდერების ნაწილი კოალიციურ მთავრობაზე საუბრობს. რამდენად არის რეალური 2024 წელს ასეთი შედეგის დადგომა?***

– ეს შედეგი რომ დადგეს, ამისთვის მუშაობა, ქუჩაში გასვლა და ბრძოლაა საჭირო. ელემენტარულად, ოპოზიციის კოორდინირებული მოქმედებაა საჭირო და არა პარლამენტში ფუჭად დროის გაყვანა, რაც მხოლოდ „ოცნებას“ აწყობს.

ქუჩაში კოორდინაციითა და ხალხის მობილიზებით, ოპოზიციის ბრძოლისუნარიანობის გამოჩენით შეიძლება, ამომრჩეველს რწმენა დაუბრუნდეს. სესიებსა და ბიუროებზე კაბინეტური მუშაობა ხალხს ვერანაირ რწმენას ვერ დაუბრუნებს. ხალხს რწმენის დაბრუნება რომ სჭირდება, ამაზე ყველა სოციოლოგიური კვლევა ლაპარაკობს.

***– რა მოთხოვნით უნდა მოხდეს ქუჩაში გასვლა?***

– თუ ვადამდელი, რიგგარეშე არჩევნების დანიშვნის მოთხოვნა არა, ძალიან ცოტა დროა დარჩენილი ახალ საპარლამენტო არჩევნებამდე. საარჩევნო სისტემის, გარემოს შეცვლაზე უნდა იყოს ჩვენი მთელი აქცენტი გადატანილი. სამართლიანი არჩევნები თუ არ ჩატარდება, ივანიშვილი ძალაუფლებას ისევ მიიტაცებს. ამიტომ ძალიან სერიოზული ბრძოლა გველოდება წინ. ამისთვის ბრძოლა კი ახლავეა საჭირო. მერე უკვე გვიან იქნება. სამი არჩევნებია, რაც „ოცნება“ ხალხის არჩევანის წინააღმდეგ მიდის. ყველა ჯერზე ადგილი ჰქონდა ძალაუფლების მიტაცებას. ლეგიტიმაციის სერიოზული პრობლემა დგას.

***– ამჯერად იქნებ ძალაუფლების გადაბარებას აპირებს?***

– ეს გამორიცხულია. ივანიშვილს ხელისუფლებაში ყოფნა და ძალაუფლების შენარჩუნება მილიონების საშოვნელად უნდა. 2024 წელს არავითარ შემთხვევაში არ დათმობს ძალაუფლებას, ეცდება, მორიგ ჯერზე მიიტაცოს. ამიტომ ვამბობ, რომ სერიოზული სამზადისი უნდა დაიწყოს ოპოზიციამ, მაგრამ ქუჩაში გასვლისა და ხალხის სერიოზული მხარდაჭერის გარეშე არაფერი არ გამოვა.

ოპოზიციაშიც არ არის ყველაფერი წესრიგში. გასაგებია, რომ ივანიშვილი, მოქმედი ოლიგარქი, სერიოზულ პრობლემებს უქმნის ქვეყანას, სახელმწიფოს, ხალხს, მაგრამ „ბიზნესის“ ჟურნალისტური გამოძიების ეჭვქვეშ დაყენებაც შეუძლებელია. სერიოზული ბრძოლა გველოდება 2024 წლის არჩევნებისთვის. წყნარად და მშვიდად პარლამენტში ჯდომით არცერთი ავტორიტარული რეჟიმი არ დამარცხებულა და ვერც ეს რეჟიმი ვერ დამარცხდება. საჭიროა ახლავე ნამდვილი, მებრძოლი, პრინციპული ოპოზიციის კოორდინაცია და ქუჩაში გასვლა, რომ არჩევნებისთვის მოვემზადოთ.

# „რუსეთში მობილიზაციის მეორე ტალღის პრობლემა დგება“

## „საერთაშორისო თანამეგობრობისათვის უკრაინის კონტრშეტევას პოლიტიკური მნიშვნელობა აქვს“

მარიამ მჭედლიშვილი

**რას ნიშნავს მსოფლიოსთვის კონტრშეტევა, რომელიც უკრაინამ რუსეთის წინააღმდეგ უნდა განახორციელოს? რატომ არ ეშვება პუტინი ამბიციურ გეგმებს? რა პროცესები მოჰყვება საბოლოო მარცხს ფრონტზე რუსეთში? — ამ და სხვა საკითხებზე უკრაინულ მედიას ესაუბრა ცნობილი უკრაინელი სამხედრო ექსპერტი ოლეგ ჟდანოვი.**



***– აშკარაა, რომ უკრაინა კონტრშეტევისთვის ემზადება, რუსეთი კი – თავდაცვისათვის. თუ რუსეთში ილებ სმს-შეტყობინებას, უკვე ვალდებული ხარ, გამოცხადდე სამხედრო კომისარიატში. რა მდგომარეობაა?***

– რუსეთის ფედერაციას უნდოდა, გამოსულიყო უკეთესად, მაგრამ გამოუვიდა, როგორც ყოველთვის. დეკემბერში მათ მობილიზაციის ტემპები შეანელეს. ეტყობა, რუსეთის ფედერაციის გენერალიტეტს იმედი ჰქონდა, რომ იკმარებდა იმ 300 ათასს, რომელიც მოაგროვეს. ისე მოხდა, რომ დღეს ისინი იძულებული არიან, გადაისროლონ მთელი თავიანთი რეზერვები ლიმანი-ბახმუტი-ავდეევკა-მარინკას მონაკვეთზე. აქ ისინი უზარმაზარ დანაკლისს განიცდიან და აუცილებელია მისი შევსება.

რუსებს ესმით, რომ ლაპარაკი შეტევით და თუნდაც თავდაცვით მოქმედებებზე დამატებითი მობილიზაციის გარეშე შეუძლებელია. ამიტომ სასწრაფოდ დგება მობილიზაციის მეორე ტალღის პრობლემა. ის არ ცხადდება, მაგრამ გამოძახების მაუწყებელი შეტყობინებებით მაინც ივსება მთელი რუსეთი. სახელმწიფო დუმამ ელექტრონული გამოძახება ქაღალდისას გაუთანაბრა. როგორც ჩანს, რუსეთში მიხვდნენ, რომ ქაღალდის შეტყობინებით ცოტა ვინმე თუ გამოცხადდება სამხედრო კომისარიატში.

კრემლს ნაპოლეონის მსგავსი გეგმები აქვს. რუსებს უნდათ, წლის ბოლომდე მოაგროვონ 400 ათასი „კონტრაქტნიკი“. ზაფხულისთვის ამოცანად დაისახეს 500 ათასი კაცის მობილიზაციაც. ეს იქნება მობილიზაციის მეორე ტალღა. გარდა ამისა, 1 აპრილიდან მიმდინარეობს გაწვევა ჯარში. ადრე ის 1 თვე გრძელდებოდა, ახლა კი 15 ივნისამდე გასტანს. რუსეთში შეიგნეს, რომ გასაწვევების ძებნაც კი დასჭირდებათ.

ეს იმაზე მეტყველებს, რომ საზოგადოებას რუსეთში ომი ან არ უნდა, ან ის მზად არ არის სამობილიზაციოდ. რუსეთს დიდი ჩავარდნა ექმნება იმის გამო, რომ პირველი ტალღის 300 ათასი მობილიზებული ელევა.

***– რატომ აქვთ (რუსებს) ასეთი ამბიციური გეგმები წლის ბოლოსთვის მაშინ, როცა კონტრშეტევა მალე იწყება?***

– პუტინს სხვა გზა არ დარჩენია. მას ჰგონია, რომ თუ ჯარი განადგურდება, ის მაშინვე უნდა აღადგინოს და შეავსოს რეზერვებით. ჩვენ გვრჩება მთავარი საკითხი, ის, თუ რით უნდა შეიარაღდეს ეს არმია. პუტინმა იცის, რომ თუ რუსეთის შეიარაღებულ ძალებს ბრძოლის ველზე გაანადგურებენ, ის კრემლიდან „გამოვარდება“. ამიტომ სახავს პუტინი ამბიციურ გეგმებს. რუსეთიდან გამოსული ბოლო ინფორმაციებით, ისინი განიხილავენ საყოველთაო მობილიზაციის საკითხსაც.

***– დასავლეთს ეს ვარიანტი არ აწყობს?***

– დასავლეთს ეს ვარიანტი არ აწყობს. აშშ და პარტნიორი ქვეყნები, რომლებიც ჩვენ გვეხმარებიან, დიდ იმედს ამყარებენ ჩვენს კონტრშეტევაზე. საერთაშორისო თანამეგობრობისათვის ამ კონტრშეტევას (უკრაინის გამარჯვებას) არა მარტო სამხედრო, არამედ, პოლიტიკური მნიშვნელობაც აქვს. რუსეთის წაგება ბრძოლის ველზე აისახება რუსეთის ფედერაციის შიდა პოლიტიკაზე. მაშინ რუსეთის ისტებლიშმენტი შეიგნებს, რომ რაღაც შესაცვლელია.

***– რაზე მეტყველებს რუსეთის მედესანტეებისათვის „სოლნცეპიოკის“ (რუსეთის შეიარაღების სისტემა, რომელიც განკუთვნილია მსუბუქი ჯავშანტექნიკის მწყობრიდან გამოსაყვანად, შენობების ასაფეთქებლად) გადაცემა?***

– ისინი ცდილობენ, მაქსიმალურად გააძლიერონ საჰაერო-სადესანტო ჯარების მოიერიშე მოქმედებები. ეს რუსეთის ჯარის ერთადერთი სახეობაა, რომელსაც დღეს შეუძლია შეტევითი ამოცანების შესრულება.

ფაქტობრივად, ხდება საჰაერო-სადესანტო ნაწილის გადაქცევა ჩვეულებრივ სახმელეთო ჯარად. პირადი შემადგენლობის უნარჩვევები და ბრძოლისუნარიანობა იკლებს. მისი გაძლიერება შესაძლებელია არტილერიით, თუმცა მის ნაკლებობას განიცდიან.

# გიული ალასანია მიხეილ სააკაშვილზე — „ფეხზე ვერ დგება, საშინელი სისუსტე აქვს“



– ჩემი შვილი ფეხზე ვერ დგება, საშინელი სისუსტე აქვს, – ამის შესახებ საქართველოს ყოფილი პრეზიდენტის მიხეილ სააკაშვილის დედამ გიული ალასანიამ ჟურნალისტებს კლინიკა „ვივამედთან“ განუცხადა.

აღნიშნულ კონტექსტში, ალასანიამ კიდევ ერთხელ აღნიშნა, რომ ოჯახი და დაცვის მხარე მიხეილ სააკაშვილისთვის სასჯელის დროებით გადავადებას ითხოვს.

– მოვითხოვთ სასჯელის დროებით გადავადებას. ჩემთვის სრულიად გაურკვეველი სასჯელის დროებით გადავადებაზეა აქ საუბარი, რომ ადამიანს შესაძლებლობა მიეცეს, ჯანმრთელობა აღიდგინოს. ამ საავადმყოფოში ასეთი შევიდა, ახლა როგორიც არის? საშინელი სისუსტე აქვს, ფეხზე ვერ დგება. რა ვიცი, რა გითხრათ. სიცხე და წნევაც სულ აქვს, როგორც წესი, – აღნიშნა გიული ალასანიამ.

# ქართველი და უკრაინელი ხელოვანები ქველმოქმედებისთვის ერთიანდებიან

დასაწყისი მე-8 გვერდზე

კონცერტის კომპოზიცია კომპოზიტორთა რამდენიმე თაობას აერთიანებს: კორიფეებიდან, სილვესტროვი-ყანჩელი, სვიატოსლავ ლუნიოვამდე, ხოლო ახალგაზრდა კომპოზიტორების თაობას მაქსიმ შალიგინი წარმოადგენს.

კამერულ ორკესტრ „ოპერის კამერატას“ შეუერთდებიან უკრაინელი მუსიკოსები, რომლებიც სპეციალურად ჩამოვლენ თბილისში კონცერტში მონაწილეობის მისაღებად.

კონცერტის იდეა – უკრაინელები და ქართველები ერთად – მუსიკაში, შემოქმედებაში, ომის გამოწვევების დაძლევაში საერთო გზით სინათლის სიბნელეზე გამარჯვებისაკენ.

საკონცერტო პროგრამაშია სვიატოსლავ ლუნიოვის, მაქსიმ შალიგინის, ვალენტინ სილვესტროვის, გია ყანჩელის ნაწარმოებები. ნაწარმოებებს დაუკრავენ სპეციალურად ამ




საღამოზე მიწვეული უკრაინელი მუსიკოსები: მევიოლინეები იულია რუბანოვა და ვიქტორ ივანოვი, ალტისტები ოლჰა ვასილკოვსკა და კატერინა სუპრუნი, ჩელისტი გლიბ სასკო, კონტრაბასისტი ივან ლიხოვიდი.

იძულებით გადასახლებული უკრაინელებისთვის ღონისძიებაზე შესვლა უფასოა, თუმცა მათ წინასწარი რეგისტრაცია უნდა გაიარონ. ბილეთების გაყიდვითა და შემოწირულობებით მიღებული მთლიანი თანხა კი დაღუპული გმირების ოჯახებს გადაერიცხებათ.

**მოამზადა ეკა ირემაშვილმა**

# „მესამე მსოფლიო ომი არ იქნება“

დასაწყისი მე-3 გვერდზე

– იარაღის გადაცემა კონფლიქტის ესკალაციასა და ყველა მიმართულებით რუსეთის გააქტიურებას გამოიწვევს.

***– გავრცელებული ინფორმაციით, რუსეთმა და ჩინეთმა გადაწყვიტეს, დოლარის გავლენა შეამცირონ და სხვა ფულის ერთეულს დაეყრდნონ. მათ სხვა ქვეყნებიც უერთდებიან. გარკვეულმა ქვეყნებმა გადაწყვიტეს, ერთმანეთში დოლარით არ ივაჭრონ. ფაქტობრივად, ჩინეთმა და საუდის არაბეთმაც გადაწყვეტილება მიიღეს, ერთმანეთში დოლარით არ ივაჭრონ.***

– ესეც საინტერესო ფაქტია, რადგან ამერიკის სტრატეგიული მოკავშირე, საუდის არაბეთი, მის მოწინააღმდეგეთა ბანაკში გადადის. „ოპეკმა“ გააფორმა „ოპეკი+5“, ანუ სპეციალური მონოპოლიზებული ახალი ხელშეკრულება, რომელიც ნავთობის ფასებს მაღლა სწევს, მათ შორის, რუსულ ნავთობზე, „სოკოლსა“ და „ურალზე“ ფასები აწეულია.

***– ეს ყველაფერი მესამე მსოფლიო ომამდე არ მიდის?***

– ჯერჯერობით ჰიბრიდული ომია. იმედია, საქმე აქამდე არ მივა. მესამე მსოფლიო ომი, ალბათ, არ იქნება. ვნახოთ.

***– დასავლეთს, ამერიკას ჩინეთთან მოლაპარაკება თუ შეუძლიათ?***

– ევროკავშირის ლიდერები იყვნენ მოსალაპარაკებლად. ამერიკის სახელმწიფო მდივან ბლინკენს ჩინეთში ჩასვლა აუკრძალეს. ფაქტობრივად, ჩინეთი დომინანტი, ნომერი პირველი გავლენის ცენტრი გახდა. ესეც ფაქტია.

***– თქვენი არ ვიცი, მაგრამ ეს სიტუაცია მე უკვე მაშინებს.***

– იცით, ამერიკას ჩინეთის რამდენი მართებს? 848 მილიარდი დოლარი.

***– აქამდე რწმენა მქონდა იმისა, რომ უკრაინა გაიმარჯვებდა. ამ სიტუაციაში მოვლენები როგორ განვითარდება?***

– ვნახოთ. უკრაინასა და რუსეთს შორის უახლოეს პერიოდში განხორციელებული საომარი მოქმედებები უკრაინის ბედს გადაწყვეტს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

# ირაკლი ღარიბაშვილი: „ჩვენი მოქალაქე, ყოფილი თავდაცვის მინისტრი, ბატონი კეზერაშვილი, უკვე საერთაშორისო დონის თაღლითად არის მოხსენიებული“

– სიმართლე გარკვეულია – გამოვლინდა, რომ ჩვენი მოქალაქე, ყოფილი თავდაცვის მინისტრი, ბატონი კეზერაშვილი, უკვე საერთაშორისო დონის თაღლითად არის მოხსენიებული, – ამის შესახებ საქართველოს პრემიერ-მინისტრმა ირაკლი ღარიბაშვილმა მთავრობის სხდომაზე განაცხადა.

პრემიერ-მინისტრის თქმით, ე.წ. ქოლცენტრების საქმეზე საქართველოს საგამოძიებო სამსახურები 2 წლის განმავლობაში აქტიურად თანამშრომლობდნენ გერმანიის საგამოძიებო სამსახურთან.

როგორც მთავრობის მეთაურმა აღნიშნა, კეზერაშვილის ნაძარცვი ფულით რადიკალური, ექსტრემისტული ოპოზიცია ფინანსდებოდა.

– მე მინდა გამოვეხმაურო ერთ მეტად შემაშფოთებელ ფაქტს – ეს არის საერთაშორისო, ტრანსნაციონალური დანაშაული, რომელიც იქნა გამოძიებული და გახსნილი, ე.წ. ქოლცენტრების საქმე. რატომ მინდა ამის თაობაზე გავაკეთო კომენტარი? პირველ რიგში იმიტომ, რომ საქმე ეხება ჩვენი მოქალაქის მიერ ჩადენილ არნახული, უპრეცედენტო მასშტაბის თაღლითური სქემის განხორციელებას, რომლის შედეგადაც თითქმის 1 მილიარდი დოლარი თუ ევრო იქნა მოპარული ევროპის ქვეყნებში. რეალურად, გახსოვთ, რომ ალბათ ერთი წელია, მუდმივად ისმოდა ბრალდებები აი, ამ რადიკალური, ექსტრემისტული ოპოზიციის მხრიდან, რომლებიც თავად ფინანსდებოდნენ და ფინანსდებიან აი, ამ მოპარული, ნაძარცვი ფულით. ეს, რა თქმა უნდა, არა მხოლოდ სამარცხვინო, არამედ შემაშფოთებელი ფაქტია. ჩვენ ძალიან ინტენსიური თანამშრომლობა გვქონდა გერმანიის საგამოძიებო სამსახურთან. ჩვენი საგამოძიებო სამსახურები აქტიურად მუშაობდნენ ალბათ ორი წლის განმავლობაში. ეს იყო ძალიან დიდი სამუშაო, რომელიც იქნა გაწეული ერთობლივად და ჩვენ, ჩვენი მხრივ, მნიშვნელოვანი წვლილი შევიტანეთ ამ საერთაშორისო თაღლითური სქემის გამოძიების საქმეში. სიმართლე გარკვეულია – გამოვლინდა, რომ ჩვენი მოქალაქე, სამწუხაროდ, ყოფილი თავდაცვის მინისტრი, ბატონი კეზერაშვილი, უკვე საერთაშორისო დონის თაღლითად არის მოხსენიებული, რაც, რა თქმა უნდა, არის კატასტროფული და კიდევ უფრო მეტად შემაშფოთებელია ის ფაქტი, რომ აღნიშნული პიროვნება, რომელმაც მანამდე, მოგეხსენებათ, ჯარი გაძარცვა ჯერ, შემდეგ ბიზნესს რა დღეში აგდებდა, ატერორებდა, ახლა უკვე მთელი ევროპის მასშტაბით არნახული თაღლითური სქემა შეიმუშავა მისმა



კომპანიამ და გაძარცვეს პენსიონერები. მილიარდი დოლარის ზარალი იქნა მიყენებული. ასე რომ, როდესაც ჩვენი ეგრეთ წოდებული რადიკალური ექსტრემისტული ოპოზიციის წარმომადგენლები შეხვდებიან ჩვენს ევროპელ მეგობრებსა და პარტნიორებს, მინდა ჩვენს ევროპელებს, მეგობრებს ვუთხრა, რომ ისინი ხვდებიან მათი მოქალაქეების მძარცველის მიერ დაფინანსებული პარტიის წარმომადგენლებს. ეს, რა თქმა უნდა, არის სამარცხვინო ფაქტი, მაგრამ, ცხადია, მიხარია, რომ ეს სიმართლე გაირკვა.

გახსოვთ, რომ შარშან, პირიქით, აბრალებდნენ, თითქოს ხელისუფლების წარმომადგენლები იყვნენ ჩართული ამ საქმეში და ახლა ბიბისი-მ, ბრიტანეთის საზოგადოებრივმა მაუწყებელმა, საბოლოოდ გამოავლინა, და ამის თაობაზე უკვე მთელ საზოგადოებას ეცნობა. ასე რომ, ნაცვლად იმისა, რომ ჩვენი ოპოზიციის წარმომადგენლები ჩართული იყვნენ დესტრუქციულ ქმედებებში ყოველდღიურად, მათ ყოველდღე უნდა მოიხადონ ბოდიში ახლა უკვე როგორც ჩვენი, ისე ევროპული საზოგადოების წინაშე და უნდა მისცენ ახსნა-განმარტებები, თუ რატომ ფინანსდება მთელი ოპოზიციური სპექტრი, თითქმის ყველა ოპოზიციური პარტია, მათი ტელევიზიები ნაძარცვი ფულით, ევროპელი პენსიონერების მოპარული ფულით. ამის თაობაზე მინდოდა ჩემი მხრივ გამეკეთებინა კომენტარი. მინდა, ჩვენს საგამოძიებო სამსახურებს მადლობა გადავუხადო, ვინც ჩართული იყო ამ მეტად რთული გამოძიების საქმეში, ჩვენს ევროპელ კოლეგებთან ერთად ძალიან ინტენსიურად ვიმუშავეთ და, იმედი მაქვს, რომ ყველა დამნაშავე, რომელიც ამ თაღლითურ სქემაში იყო ჩართული, იქნება მიცემული პასუხისგებაში, – განაცხადა ირაკლი ღარიბაშვილმა.

## სახლში ბავშვები იმყოფებოდნენ – ძლიერი ხანძარი თბილისში



ძლიერი ხანძარი თბილისში – ცეცხლი მრავალსართულიანი კორპუსის ბოლო სართულზე გაჩნდა. ხანძრის დროს საცხოვრებელ სახლში მცირეწლოვანი ბავშვები იმყოფებოდნენ. მათი ევაკუაცია სამაშველო სამსახურმა მოახდინა.

## დაშავებულია არასრულწლოვანი – ავარია კახეთში

კახეთში, სოფელ ჭიკაანთან მომხდარი ავტოსაგზაო შემთხვევის შედეგად 4 ადამიანი დაშავდა.

გადაჭარბებული სიჩქარით მოძრავი ავტომანქანა ამოტრიალდა, რასაც შედეგად ოთხი ადამიანის დაზიანება მოჰყვა.

დაშავებულები თავდაპირველად ყვარლის ჰოსპიტალში მოათავსეს, შემდეგ ორი ქალი – თელავის რეფერალურ ჰოსპიტალში, ხოლო 7 და 15 წლის არასრულწლოვნები თბილისში გადაიყვანეს.

გამოძიება მომხდარ ფაქტზე სისხლის სამართლის კოდექსის 276-ე მუხლით დაიწყო.

## თბილისში მაღაზია გაქურდეს

თბილისში მაღაზია გაქურდეს. შემთხვევა გუდამაყრის ქუჩაზე გვიან ღამით მოხდა. არსებული ინფორმაციით, რამდენიმე არასრულწლოვანმა მაღაზიიდან თამბაქო წაიღო. ჩამსხვრეულია მინები.

## 18 წლის ბიჭი, რომელმაც ახმეტაში 71 წლის მეზობელს სანადირო თოფით სასიკვდილო ჭრილობა მიაყენა, დაკავებულია




პოლიციამ ახმეტაში მომხდარი მკვლელობის ფაქტზე ერთი პირი დააკავა. შინაგან საქმეთა სამინისტროს ცნობით, 2005 წელს დაბადებულმა პირმა მეზობელს სახის არეში ჭრილობა სანადირო თოფით მიაყენა. დაჭრილი სამედიცინო დაწესებულებაში გადაიყვანეს, თუმცა მისი გადარჩენა ვერ მოხერხდა.

უწყების ცნობით, დანაშაული 10-დან 15 წლამდე ვადით თავისუფლების აღკვეთას ითვალისწინებს.

შინაგან საქმეთა სამინისტროს კახეთის პოლიციის დეპარტამენტის თანამშრომლებმა, ცხელ კვალზე ჩატარებული ოპერატიულ-სამძებრო ღონისძიებებისა და საგამოძიებო მოქმედებების შედეგად, 2005 წელს დაბადებული ბ.ხ. განზრახ მკვლელობის ბრალდებით დააკავეს.

გამოძიებით დადგინდა რომ ბრალდებულმა, ქალაქ ახმეტაში, საყოფაცხოვრებო ნიადაგზე მომხდარი კონფლიქტის შედეგად, მეზობელი, 1952 წელს დაბადებულ ლ.ხ., სანადირო თოფიდან გასროლით სახის არეში დაჭრა და შემთხვევის ადგილიდან მიიმალა. დაჭრილი ლ.ხ. სამედიცინო დაწესებულებაში გადაიყვანეს, თუმცა მისი გადარჩენა ვერ მოხერხდა.

ოპერატიული-სამძებრო ღონისძიებებისა და საგამოძიებო მოქმედებების შედეგად, სამართალდამცველებმა ბ.ხ. მომხდარიდან მალევე, ცხელ კვალზე ბრალდებულის სახით დააკავეს.

პოლიციამ დანაშაულის ჩადენის იარაღი – სანადირო თოფი ნივთმტკიცების სახით ამოიღო.

განზრახ მკვლელობის ფაქტზე გამოძიება საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 108-ე მუხლით მიმდინარეობს.

საზოგადოება

## წელს საქართველოდან სუდანში მხოლოდ ციანიდი გავიდა

სუდანში გასამხედროებულ დაჯგუფება „სწრაფი რეაგირების ძალებსა“ და ქვეყნის არმიას შორის დაპირისპირება მოხდა. სუდანში სამოქალაქო მმართველობის ჩამოყალიბება „სწრაფი მხარდამჭერი ძალების“ არმიაში ინტეგრაციას ითვალისწინებს. გასამხედროებული დაჯგუფება პროცესის 10 წლით გადავადებას ითხოვდა, თუმცა არმიის მეთაურობამ განაცხადა, რომ ეს ორი წლის ვადაში უნდა მოხდეს.



„ბიზნესპრესნიუსი“ დაინტერესდა, როგორია საქართველო-სუდანს შორის სავაჭრო ურთიერთობა. სტატისტიკის ეროვნული სამსახურის მონაცემებით, 2023 წლის 1-ელ ორ თვეში იმპორტი არ მომხდარა, ექსპორტმა კი 477 ათასი დოლარი შეადგინა. კერძოდ, საანგარიშო პერიოდში საქართველოდან სუდანში მხოლოდ ციანიდების, ოქსიდციანიდების, კომპლექსური ციანიდების ექსპორტი განხორციელდა.

რაც შეეხება გასული წლის მონაცემებს, 2022 წელს სუდანიდან იმპორტმა 6.50 ათასი აშშ დოლარი შეადგინა. აქედან, 4,5 ათასი დოლარის საფრენი აპარატების ნაწილები, ხოლო 2 ათასი აშშ დოლარის აკუმულატორები ელექტრული (სეპარატორების ჩათვლით მათთვის, სწორკუთხა ან სხვა ფორმის) შემოვიდა ქვეყანაში. საქართველოდან სუდანში ექსპორტმა კი წინა წელს 359.21 ათასი აშშ დოლარი შეადგინა.

2022 წელს საქართველოდან სუდანში ექსპორტირებული საქონლის ჩამონათვალი ასე გამოიყურება:

ციანიდები, ოქსიდციანიდები, კომპლექსური ციანიდები – 310 ათასი აშშ დოლარი;

მექანიკური მოწყობილობები სითხეებისა ან ფხვნილების გაშხეფვის ან გაფრქვევისათვის – 33.20 ათასი აშშ დოლარი;

ავტომანქანების ნაწილები, ექსპლუატაციაში ნამყოფი – 5.86 ათასი აშშ დოლარი;

ვულკანიზებული რეზინის ნაწარმი, გარდა მყარი რეზინისა, დანარჩენი აპარატურა სასუნთქი სხვა და აირის ნიღბები – 3.70 ათასი აშშ დოლარი;

პლასტმასის დანარჩენი ნაწარმი – 1.000 აშშ დოლარი;

მიკროფონები ხმამაღლამოლაპარაკეები და სხვა – 1.000 აშშ დოლარი;

ნატურალური ტყავის ან კომპოზიციური ტყავის ნაწარმი, დანარჩენი – 650 აშშ დოლარი;

ცენტრიფუგები; აგრეგატები სითხის ან აირის საფილტრავი ან გასაწმენდი – 600 აშშ დოლარი;

ხალიჩები და იატაკის სხვა საფეიქრო საფარები, გაწყობილი ან გაუწყობელი – 400 აშშ დოლარი.

## გიორგი ამილახვარმა ზოგადი განათლების საკითხებში კონსულტანტად გია მურღულია დანიშნა

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრმა გიორგი ამილახვარმა ზოგადი განათლების საკითხებში კონსულტანტად ფილოლოგიის დოქტორი და პედაგოგი გია მურღულია დანიშნა. ამის შესახებ ინფორმაციას განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო ავრცელებს.



მათივე ცნობით, გიორგი ამილახვრის გადაწყვეტილებით სამინისტროში ზოგადი განათლების მიმართულებით სამუშაო ჯგუფი იქმნება, რომელსაც თავად მინისტრი უხელმძღვანელებს, კოორდინაციას კი გია მურღულია გაუწევს.

– აღნიშნული ჯგუფი აქტიურად იმუშავებს სკოლებში სასწავლო პროცესის გაუმჯობესებისა და განათლების ხარისხის განვითარების ხელშეწყობის კუთხით. კერძოდ, გიორგი ამილახვარის დავალებით, ჯგუფის წევრები სწრაფ და მოქნილ რეჟიმში იმსჯელებენ მასწავლებელთა პროფესიული განვითარების სქემის დახვეწაზე, ეროვნული სასწავლო გეგმისა და სახელმძღვანელოების ხარისხის გაუმჯობესებაზე, გრიფირების პროცესსა და სკოლასთან დაკავშირებულ მნიშვნელოვან სხვა საკითხებზე.

გია მურღულიას განათლების სფეროში მოღვაწეობის მრავალწლიანი გამოცდილება აქვს. სხვადასხვა წელს ის გახლდათ პედაგოგი, სკოლის დირექტორი, საქართველოს პედაგოგთა კვალიფიკაციის ამაღლებისა და გადამზადების ცენტრალური ინსტიტუტის რექტორი, საქართველოს სკოლის ადმინისტრატორთა ასოციაციის თავმჯდომარე, თბილისის საკრებულოს წევრი და სხვა. ცნობილი ფილოლოგი პედაგოგიური მოღვაწე, მის პარალელურად, სამეცნიერო და ლიტერატურულ საქმიანობასაც აქტიურად ეწევა. გია მურღულია, ასევე, არის არაერთი საგანმანათლებლო გამოცემის, პროექტისა და პროგრამის ავტორი, – ნათქვამია ინფორმაციაში.

## 2023 წლის სექტემბრიდან სკოლაში შესვლის შესაძლებლობა იმ ბავშვებსაც ექნებათ, რომლებსაც 6 წელი 1-ელ ნოემბრამდე უსრულდებათ

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრ გიორგი ამილახვრის განცხადებით, ბავშვებს, რომლებსაც 1-ელ ნოემბრამდე 6 წელი შეუსრულდებათ, უფლება ექნებათ, სკოლაში 2023 წლის სექტემბრიდან შევიდნენ.

მისივე თქმით, პროცესი ნებაყოფლობითი იქნება და მშობლებს შეეძლებათ ბავშვები სკოლაში წაიყვანონ ან საბავშვო ბაღში დატოვონ.

– სასკოლო ინფრასტრუქტურის განვითარებასთან ერთად, შესაძლებლობა გვაქვს, მშობლების მომეტებული მოთხოვნა, რომელიც ბავშვის სასკოლო ასაკს ეხება, ეტაპობრივად დავაკმაყოფილოთ. წელს, ბავშვებს, რომლებსაც 1-ელ ნოემბრამდე 6 წელი შეუსრულდებათ, უფლება ექნებათ, სკოლაში შევიდნენ. მოგეხსენებათ, ეს წესი აქამდე 1-ელ ოქტომბრამდე მოქმედებდა და ის ერთი თვით გავახანგრძლივეთ. იმ ინფრასტრუქტურულ ღონისძიებებთან ერთად, რომელიც 800 სკოლის აშენებასა და რეაბილიტაციას გულისხმობს, ჩვენ ნელ-ნელა ამ ვადას გავახანგრძლივებთ. მაქსიმალური გადაწევის საშუალება 31 დეკემბრამდეა.

გადაწყვეტილება ნებაყოფლობითი იქნება. მშობლები არჩევანში სრულად თავისუფლები იქნებიან. მათ შეუძლიათ, ბავშვი სკოლაში შეიყვანონ ან საბავშვო ბაღში დატოვონ, – განაცხადა გიორგი ამილახვარმა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

# ზელენსკიმ მთავარსარდლობის სხდომა მოიწვია




უკრაინის პრეზიდენტმა ზელენსკიმ მთავარბანაკის სხდომა მოიწვია. მას ესწრებოდნენ: თავად ზელენსკი, პრემიერი შმიგალი, პრეზიდენტის ადმინისტრაციის უფროსი ერმაკი, უკრაინის არმიის სარდალი, გენერალი ზალუჟნი, ფრონტის მიმართულებების ხორტიცას, ტავრიასა და ა.შ. სარდლები. დღის წესრიგში იყო: 1) ფრონტზე შექმნილი მდგომარეობა; 2) რუსი ოკუპანტების ზრახვები; 3) უკრაინული არმიის საბრძოლო მასალით მომარაგების უზრუნველყოფა.

სხდომაზე ვრცელი მოხსენებით გამოვიდა გენერალი ზალუჟნი. მან ისაუბრა ფრონტის ყველაზე ცხელ უბანზე, ბახმუტში შექმნილ მდგომარეობაზე. ზალუჟნიმ აღნიშნა ის წარმატებები, რომლებსაც ბახმუტში უკრაინულმა არმიამ მიაღწია. კერძოდ ის, რომ ბახმუტის ცენტრში რუსეთის არმია აიძულეს, უკან დაეხია და ოკუპანტები განდევნეს ბახმუტის გარეუბან ივანივსკოედან.

– ბახმუტმა თავისი ამოცანა შეასრულა და მომავალშიც შეასრულებს. ეს რუსული არმიისათვის ქანცის გამოცლაა, – თქვა ზალუჟნიმ.

გენერალი დონბასის სხვა ქალაქებთან შექმნილ მდგომარეობასაც შეეხო. მან თქვა, რომ მტერი ცდილობს, ალყაში მოაქციოს ავდეევკა, მაგრამ თავად რუსებიც ხვდებიან, რომ ეს ამაო გარჯაა, ამიტომ ავდეევკიდან ჯარი ბახმუტთან გადაისროლეს. რაც შეეხება მარინკას, ქალაქი ნანგრევებადაა ქცეული. მიუხედავად ამისა, რუსებმა წინ ვერ წაიწიეს. უკანასკნელ ხანს შეინიშნება რუსების გააქტიურება უგლედართან. ამავე დროს, ოკუპანტების შეტევაზე გადასვლის ნებისმიერი მცდელობა აღიკვეთა.

ზალუჟნიმ დეტალურად მიმოიხილა უკრაინის სამხრეთში შექმნილი მდგომარეობა. ოკუპანტები ხვდებიან, რომ ერთდროულად დონბასსა და უკრაინის სამხრეთში შეტევების წარმოება არ შეუძლიათ, ამიტომ აქცენტი დაბომბვაზე გადაიტანეს. რუსები პირდაპირ ცეცხლს უშენენ დასახლებულ პუნქტებს. მათი სამიზნეებია სკოლები, საავადმყოფოები, საცხოვრებელი სახლები.

ზალუჟნიმ ფრიად დეტალურად ისაუბრა ოკუპირებულ ტერიტორიებზე შექმნილ ვითარებაზე. მან თქვა, რომ უკანასკნელ ხანს შეინიშნება ოკუპანტების ტერორის გააქტიურება.

რუსი ჯარისკაცები დაურიდებლად იჭრებიან სახლებში, აპატიმრებენ ყველას, ვისაც არა აქვს რუსული პასპორტი ან მათ, ვინც არალოიალურად მიაჩნიათ. ასეთებს ან ფილტრაციულ ბანაკებში ათავსებენ, ან ხვრეტენ. ხშირია შემთხვევები, როცა დაკავებულები რუსეთში გადაჰყავთ და მონებივით ამუშავებენ.

ყველაფერმა ამან უკრაინელები გააბოროტა. ზალუჟნიმ ხაზი გაუსვა, რომ ოკუპირებულ ტერიტორიაზე სულ უფრო ძლიერდება პარტიზანული მოძრაობა. ამის დასტურია აფეთქებების მთელი სერია ოკუპირებულ მარიუპოლში, ბერდიანსკში და თვით ყირიმშიც კი. ამას მოახლოებული კონტრშეტევის წინ უდიდესი მნიშვნელობა აქვს.

სხდომაზე ბევრი ისაუბრეს უკრაინული არმიის საბრძოლო მასალებით უზრუნველყოფაზე. ითქვა, რომ აუცილებელია სამამულო წარმოების სამხედრო ტექნიკის, აგრეთვე ტყვია-წამლისა და ჭურვების დამზადების გაზრდა.

სხდომაზე შემაჯამებელი სიტყვით გამოვიდა თავად ზელენსკი. მან დამსწრეთ მადლობა გადაუხადა შესრულებული მუშაობისათვის.

# ვლადიმერ ყარა-მურზას 25 წლით პატიმრობა მიესაჯა



რუს ოპოზიციონერ ჟურნალისტ ვლადიმერ ყარა-მურზას 25 წლით პატიმრობა მიესაჯა. ის უკრაინაში აგრესიული ომის წინააღმდეგ გამოდიოდა.

აშშ-ის სახელმწიფო დეპარტამენტმა განაჩენი დაგმო და ყარა-მურზას დაუყოვნებელი გათავისუფლება მოითხოვა. აშშ-ის ელჩმა რუსეთში ტრეისიმ საგანგებო განცხადება გააკეთა:

– ყარა-მურზასადმი გამოტანილი განაჩენი კიდევ ერთხელ გვიჩვენებს, რომ რუსეთში რეაქცია მძვინვარებს, – თქვა მან.

# ძირითადი საომარი მოქმედებები დონბასშია

უკრაინაში ომი გრძელდება. ძირითადი საომარი მოქმედებები კვლავაც დონბასშია. თანახმად უკრაინის გენშტაბის ცნობისა, უკრაინელებმა მხოლოდ გასულ დღეს მტრის 50 შეტევა მოიგერიეს.

ყველაზე ცხელ წერტილად კვლავ რჩება ბახმუტი. გააფთრებული ბრძოლებია ვაგზლის მიდამოებში. ვაგზალი ხელიდან ხელში გადადიოდა. დღეისათვის იმას, რაც ვაგზლისაგან გადარჩა, უკრაინელები აკონტროლებენ.

ასევე გააფთრებული ბრძოლებია ავდეევკის, მარინკის, ლუკიანსკის, ლიმანის მიმართულებით. რუსების მცდელობას, წინ წაწეულიყვნენ, არც ამჯერად მოჰყვა წარმატება.

რაც შეეხება უკრაინის სამხრეთს, აქ რუსები ძირითადად თავდაცვით ბრძოლებზე არიან გადასულნი. სამაგიეროდ, აქტიურად მუშაობს რუსული არტილერია. უკანასკნელ დღეებში სასტიკად დაიბომბა ხერსონის, ზაპოროჟიეს, ნიკოლაევის, ოდესის ოლქები. სამაგიეროდ, უკრაინელებმა განახორციელეს დარტყმები ყირიმზე, კერძოდ, ქერჩზე, ფეოდოსიაზე, ჯანკოიზე, სევასტოპოლზე. ოკუპანტების რიგებში დიდი დანაკარგია.

# ბუდანოვი: „ჩვენთან ყველაფერი გრაფიკის მიხედვით მიმდინარეობს!"




უკრაინის სამხედრო დაზვერვის შეფმა, გენერალმა ბუდანოვმა განაცხადა, რომ გულმოდგინედ მიმდინარეობს მომავალი კონტრშეტევის სამზადისი.

– მე არ შემიძლია, ყველა დეტალი გაგიმხილოთ. გეტყვით მხოლოდ, რომ ოპტიმისტურად ვარ განწყობილი. ჩვენთან ყველაფერი გრაფიკის მიხედვით მიდის, – თქვა ბუდანოვმა.

**მოამზადა ნიკა თევზაძემ**

# მამაკაცი, რომელიც კორონავირუსისგან გარდაცვლილად ითვლებოდა, სახლში დაბრუნდა

ინდოელი მამაკაცი, რომელსაც მისი ნათესავები კორონავირუსისგან გარდაცვლილად მიიჩნევდნენ, სახლში ორი წლის შემდეგ დაბრუნდა.

ორი წლის წინ, როდესაც პანდემიის მეორე ტალღა მძვინვარებდა, 35 წლის კამლეშ პატიდარს კორონავირუსი შეეყარა. ავადმყოფობა პროგრესირებდა და ამიტომ ის გუჯარათის შტატის საავადმყოფოში იქნა მოთავსებული. გარკვეული დროის შემდეგ ექიმებმა ოჯახს მამაკაცის გარდაცვალების შესახებ აცნობეს. „გარდაცვლილის" ოჯახს აჩვენეს პლასტიკატის ზეწარში გახვეული ცხედარი, რის შემდეგაც მისი კრემაცია ადგილზევე განხორციელდა. ოჯახმა ყველა დამკრძალავი რიტუალი შეასრულა და კამლეში დაიტირა. მას ცოლი და ბავშვები დარჩა.

ორი წლის შემდეგ კი თითქოსდა გარდაცვლილი ინდოელი მოულოდნელად მშობლიურ სოფელ კადოდკალანში დაბრუნდა და თავისი დეიდის სახლის კარზე დააკაკუნა. გაირკვა, რომ მამაკაცი ცოცხალი იყო და ორი წელი სხვა ქალაქში იმყოფებოდა. მისმა ნათესავმა რამეშვარმა ჟურნალისტებს განუცხადა, რომ მამაკაცის მდგომარეობა არასტაბილურია. მისი თქმით, ის საავადმყოფოდან დამნაშავეთა ჯგუფმა გაიტაცა, რომლებსაც მძევლად ჰყავდათ აყვანილი და ნარკოტიკებით აბრუებდნენ.

ამ დროისთვის სამართალდამცავი ორგანოები აღნიშნულ ინფორმაციას ამოწმებენ და ცდილობენ გაარკვიონ, თუ რა დაემართა სინამდვილეში კამლეშს.

**მოამზადა კახა ხატიაშვილმა**

# პენსიონერს ლატარიაში გამარჯვების თაობაზე მიღებული შეტყობინება საპირველაპრილო ხუმრობა ეგონა

ამერიკის აიოვას შტატის ქალაქ დუბიუკის მკვიდრმა, ყოფილმა ავტომექანიკოსმა ლატარიაში მსხვილი ჯეკპოტი მოხსნა, თუმცა თავდაპირველად ამის თაობაზე მიღებული შეტყობინება საპირველაპრილო ხუმრობა ეგონა.




61 წლის ერლ ლეიპმა ლატარიის ბილეთი პირველ აპრილს იყიდა და მალევე მიხვდა, რომ 40 მილიონი დოლარის მოგების მფლობელი გახდა. თავდაპირველად მას ეგონა, რომ გამასხარავების მსხვერპლი გახდა. მან გადაწყვიტა, გათამაშების შედეგი იმ მაღაზიის გამყიდველთან ერთად გადაემოწმებინა, სადაც ბილეთი შეიძინა. ის მხოლოდ ამის შემდეგ დარწმუნდა, რომ ნამდვილად გამდიდრდა.

ამერიკელმა გადაწყვიტა, მოგებული თანხა დაუყოვნებლივ მიეღო და არა ნაწილ-ნაწილ. ამის შედეგად ყველა გადასახადისა და მოსაკრებლის გასტუმრების შემდეგ მან 21,28 მილიონი დოლარი მიიღო.

ლეიპი, გარდა იმისა, რომ მოგებულ თანხას საკუთარი ოჯახის უზრუნველყოფას მოახმარს, თანხის ნაწილს იმ ორგანიზაციებს შესწირავს, რომლებიც ბავშვების მკურნალობით არიან დაკავებულნი.

## სპორტი

# შოთა მიშველიძე ევროპის ჩემპიონია




ერევანში მიმდინარე ძალოსანთა ევროპირველობის ჩემპიონი შოთა მიშველიძეა. 61 კილოგრამამდე წონით კატეგორიაში მოასპარეზე სპორტსმენმა შესანიშნავად იასპარეზა და დამსახურებულადაც მოიგო.

ატაცში მიშველიძემ სამივე ცდა გამოიყენა და 136 კილოგრამით ატაცში ყველას აჯობა, თანაც ისე, რომ არც ორჭიდის ოქრო უნდა გასჭირვებოდა, რადგან უახლოეს კონკურენტ იტალიელ სერჟიო მასიდას 6 ქულით უსწრებდა. იტალიელმა გაიბრძოლა და 262 კილოგრამი დასძლია. ახლა უკვე ოქროსთან ახლოს იტალიელი იყო, მაგრამ მიშველიძემ იყოჩაღა, იგივე წონას მოერია და ერევანში ქართული ჰიმნი ააჟღერა.

მიშველიძემ, ორჭიდის გარდა, ოქროს მედლები ატაცსა და აკვრაშიც მიიღო.

ამავე წონაში გოდერძი ბერდელიძემ ატაცშიც, აკვრაშიცა და ორჭიდის ჯამში მეოთხე შედეგი აჩვენა.

ოთხკილოგრამიანი უპირატესობით მოიგო ატაცი რამინ შამილიშვილმა (55). თუმცა, ეს უპირატესობა აკვრაში ვერ შეინარჩუნა, სადაც ერთი წონა ვერ დასძლია და ორჭიდის ჯამში 249 კგ-ით მხოლოდ ვერცხლი მოიპოვა. ბულგარელმა ჩემპიონმა ანგელ რუსევმა ევროპირველობა 250 კგ-ით მოიგო.

შამილიშვილს, ორჭიდის ვერცხლთან ერთად, ატაცის ოქრო და აკვრის ბრინჯაოც ერგო.

# შედეგები

17 აპრილი

ფეხბურთი

**ინგლისი. პრემიერლიგა**

ლიდსი-ლივერპული ........................ 1:6

**სატურნირო ცხრილი:**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1.არსენალი | 31 | 23 | 5 | 3 | 74-31 | 74 |
| 2.სიტი | 30 | 22 | 4 | 4 | 78-28 | 70 |
| 3.მანჩესტერი | 30 | 18 | 5 | 7 | 46-37 | 59 |
| 4.ნიუკასლი | 30 | 15 | 11 | 4 | 48-24 | 56 |
| 5.ტოტენჰემი | 31 | 16 | 5 | 10 | 57-45 | 53 |
| 6.ასტონ ვილა | 31 | 15 | 5 | 11 | 44-40 | 50 |
| 7.ბრაიტონი | 29 | 14 | 7 | 8 | 54-37 | 49 |
| 8.ლივერპული | 30 | 13 | 8 | 9 | 56-36 | 47 |
| 9.ბრენტფორდი | 31 | 10 | 13 | 8 | 47-42 | 43 |
| 10.ფულემი | 30 | 12 | 6 | 12 | 42-41 | 42 |
| 11.ჩელსი | 31 | 10 | 9 | 12 | 30-33 | 39 |
| 12.კრ.პალასი | 31 | 9 | 9 | 13 | 31-40 | 36 |
| 13.ვულვზი | 31 | 9 | 7 | 15 | 26-42 | 34 |
| 14.ბორნმუთი | 31 | 9 | 6 | 16 | 31-59 | 33 |
| 15.ვესტ ჰემი | 30 | 8 | 7 | 15 | 29-41 | 31 |
| 16.ლიდსი | 31 | 7 | 8 | 16 | 40-60 | 29 |
| 17.ევერტონი | 31 | 6 | 9 | 16 | 24-46 | 27 |
| 18.ნოტინგემი | 31 | 6 | 9 | 16 | 24-56 | 27 |
| 19.ლესტერი | 31 | 7 | 4 | 20 | 41-55 | 25 |
| 20.საუთჰემპტონი | 31 | 6 | 5 | 20 | 24-53 | 23 |

**იტალია. სერია ა**

ფიორენტინა-ატალანტა ................ 1:1

**სატურნირო ცხრილი:**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1.ნაპოლი | 30 | 24 | 3 | 3 | 66-21 | 75 |
| 2.ლაციო | 30 | 18 | 7 | 5 | 49-20 | 61 |
| 3.რომა | 30 | 17 | 5 | 8 | 42-26 | 56 |
| 4.მილანი | 30 | 15 | 8 | 7 | 49-37 | 53 |
| 5.ინტერი | 30 | 16 | 3 | 11 | 48-34 | 51 |
| 6.ატალანტა | 30 | 14 | 7 | 9 | 48-35 | 49 |
| 7.იუვენტუსი | 30 | 18 | 5 | 7 | 47-25 | 44 |
| 8.ბოლონია | 30 | 12 | 8 | 10 | 39-37 | 44 |
| 9.ფიორენტინა | 30 | 11 | 9 | 10 | 35-33 | 42 |
| 10.სასუოლო | 30 | 11 | 7 | 12 | 38-43 | 40 |
| 11.ტორინო | 30 | 10 | 9 | 11 | 31-36 | 39 |
| 12.უდინეზე | 30 | 9 | 12 | 9 | 39-39 | 39 |
| 13.მონცა | 30 | 10 | 8 | 12 | 35-41 | 38 |
| 14.ემპოლი | 30 | 7 | 11 | 12 | 25-37 | 32 |
| 15.სალერნიტანა | 30 | 6 | 12 | 12 | 34-50 | 30 |
| 16.ლეჩე | 30 | 6 | 10 | 14 | 26-36 | 28 |
| 17.სპეცია | 30 | 5 | 11 | 14 | 25-48 | 26 |
| 18.ვერონა | 30 | 5 | 8 | 17 | 24-43 | 23 |
| 19.კრემონეზე | 30 | 3 | 10 | 17 | 27-54 | 19 |
| 20.სამპდორია | 30 | 3 | 7 | 20 | 19-51 | 16 |

შენიშვნა: იუვენტუსს დაკლებული აქვს 15 ქულა

**მოამზადა მიხეილ ჟორჟოლიანმა**

# 16 წლის გოგონამ პითონი შიშველი ხელებით დაიჭირა



ამერიკის ფლორიდის შტატის ქალაქ პემბროკ-პაინსის მცხოვრებმა 16 წლის ონია ლი გოლაიტმა მეზობლის ეზოში შეპარული სამმეტრიანი პითონი შიშველი ხელებით დაიჭირა.

გოგონამ გველის თაობაზე ინფორმაცია მეზობლის მიერ სოციალურ ქსელში ადგილობრივი მცხოვრებლების ჩათში დატოვებული შეტყობინებიდან გაიგო.

– ჩემი სახლის უკანა ეზოში უზარმაზარი გველია, ის თუ თქვენია, გთხოვთ წაიყვანოთ. ხოლო თუ თქვენი არ არის, იქნებ მაინც მოაშოროთ აქედან, – დაწერა გოგონას მეზობელმა.

ონიამ აილო ჩანთა შიგნით გველის მოსათავსებლად და მეზობელს მამასთან ერთად ესტუმრა. როგორც კი მან პითონს თავში სტაცა ხელი, ის მას მაშინვე ხელზე შემოეხვია. ამ დროს საქმეში გოგონას მამა ჩაერთო. ამის პასუხად გველი მასაც შემოეხვია.

– ისე მიჭერდა, რომლის მსგავსი რამ არასოდეს გამომიცდია, – ამტკიცებს მამაკაცი.

მამა-შვილს რვა წუთი დასჭირდათ ქვეწარმავალთან გასამკლავებლად და მის ჩანთაში მოსათავსებლად. მამის თქმით, მთელი ამ ოპერაციის დროს მისი ქალიშვილი უფრო მეტად გველის უსაფრთხოებაზე ზრუნავდა, ვიდრე საკუთარზე. მოგვიანებით მამა-შვილი ფლორიდის ბუნების და თევზების დაცვის კომისიას დაუკავშირდნენ და ქვეწარმავალი მათ გადასცეს.

**მოამზადა კახა ხატიაშვილმა**


# განცხადებები

• მამაკაცებისთვის: სქესობრივი უძლურების, შარდ-სასქესო სისტემის ფუნქციათა მოწესრიგება, პროსტატის ჯირკვლის, ადენომის ზრდის შეჩერება-უკუსვლა-ნორ მალიზება, პოტენციის აწევა, შარდის შეკავება-შეუკავებლობის, წვის, ტკივილის, ქავილის, გაორებული, წყვეტილი და უნებლიე შარდვის (ბავშვებშიც!) აღმოფხვრა, ქრონიკული სოკოვანი, ბაქტერიული, ვენერიული ინფექციებისგან გაწმენდა, რეპროდუქციული ფუნქციების აღდგენა-შენარჩუნება სწრაფი კვლევებით. ტელ: 577-29-37-41 ან 234-02-38.

• ძვალ-სახსართა პრობლემების მოგვარება: კოქსართროზით, ოსტეოპოროზით, ოსტეოართროზით, პოდაგრით, სპონდილოზით და სხვა გამოწვეული დაზიანებული ხრტილის, გაცვეთილი ძვლის სტრუქტურის აღდგენა. სითხის დაბალანსება სახსარში, ტკივილების, შებოჭილობის, დაბუჟების, კრუნჩხვების მოხსნა, გაჯანსაღება საოპერაციო და უშედეგოდ ნაოპერაციები სახსრების 100%-ით ეკობიოპრეპარატებით, წონის კორექციით, ქოლესტერინისგან გაწმენდით, მრავალწლიანი გამოცდილებით. ტელ: 599-91-37-65 ან 247-58-83.

• ალკოჰოლისა და ნარკოტიკებისადმი დამოკიდებულების სწრაფი მოხსნა – რეალური გამოსავალი!!! ნევროზის, დეპრესიის, შიშების, უძილობის, აკვიატებული აზრების, აგრესიის, „თეთრი ცხელების", ძილის პროცესების დარღვევის, მეხსიერების დაბინდვა-დაქვეითების მოწესრიგება გონებრივი შესაძლებლობების აღდგენით, ღვიძლისა და სისხლის გაწმენდა (დეტოქსიკაცია) საჭირო კვლევებით. ტელ: 599-72-21-38.

ეროვნული ბიბლიოთეკა

# შავი ლომი სამხრეთ ამერიკაში ნაუგებელია

სამხრეთამერიკულ ტურნეში მყოფმა შავმა ლომმა მატჩის მიწურულს გატანილი ლელოთი ჩილეს სელკნემს 33:30 სძლია და მეორე გამარჯვება მოიპოვა.

ერთი კვირის წინანდელი მატჩისგან განსხვავებით (არგენტინულ დოგოსთან 75:19), ეს შეხვედრა დაძაბული გამოდგა. ლევან მაისაშვილის შეგირდებმა პირველ ტაიმში შეძლეს უპირატესობის მოპოვება, მაგრამ ჩილელებმა ბოლომდე იბრძოლეს და 18-ქულიანი ჩამორჩენის შემდეგ 20 უპასუხო ქულა აილეს. ამ დროს შავი ლომი კაცნაკლული იყო, მაგრამ ხასიათი გამოავლინა და ბოლო წუთზე გატანილი ლელოთი გამარჯვება იზეიმა.

ქართველები სრულ უპირატესობას ფლობდნენ შერკინებაში და მოლში. გუნდი კარგად გამოიყურებოდა ხელდახელ შეტევებშიც, მაგრამ თამაში ცოტა მოუწია. ამის მიზეზი მსაჯის სასტვენი იყო, რომელმაც ორივე გუნდი ძალიან ბევრჯერ დააჯარიმა.

სელკნამს თამაში სისწრაფეზე ჰქონდა აგებული. ისინი დერეფნიდანაც კი ბურთს თამაშში სწრაფად აბრუნებდნენ და არეული დაცვისთვის შეტევას ცდილობდნენ. საწყის წუთებში მეტოქემ შეძლო ჩვენი წნეხში მოქცევა და ორჯერ გამოიმუშავა დასარტყმელი ჯარიმა, საიდანაც ერთი 3 ქულად იქცა. შავმა ლომმა მატჩის განახლებისთანავე უპასუხა. მეტოქე ზედიზედ ორჯერ დაჯარიმდა, მოლით ორივეჯერ დიდი მანძილი მოვიგეთ, ბოლოს ბურთი ხაზზე გავიდა, დემე თაფლაძემ კარის წინ შეუტია, ბოჭვის მიუხედავად, ფეხზე დარჩა და ოვალი თენგიზ პერანიძეს გადააწოდა, რომელმაც ლელოში ოთარ ლაშხი შეუშვა და გიორგი ბაბუნაშვილმა გარდასახა.

მალე სელკნემმა კონტრშეტევაზე დაგვიჭირა, რასაც ჩვენი შეცდომებიც მოჰყვა და აშკარა ლელოსგან თაფლაძის ბოჭვამ გვიხსნა. ჩილელებმა იერიშები გააგრძელეს და მე-15 წუთზე სანდრო მამამთავრიშვილმა ყვითელი ბარათი მიიღო, ხოლო 5 წუთში ცენტრში გაიჭრა ხაზი, მიყოლამაც არ დააგვიანა და სამხრეთელები კვლავ 3 ქულით დაწინაურდნენ. წინა ეპიზოდის მსგავსად, გაშვებულმა ქულებმა შავი ლომი გამოაფხიზლა, მეტოქის 22-ს რამდენჯერმე ეწვია, რამაც შედეგი გამოიღო. 28-ე წუთზე მოლის შემდეგ მერაბ შარიქაძემ შეუტია, ლაშხმა ხაზი გაჭრა და ლელოში ბურთი გიორგი ბაბუნაშვილს შეაყოლა, რომელმაც გარდასახვა თავადვე შეასრულა.

როგორც კი შავმა ლომმა დაცვასა და შეტევაში სათამაშო აგრესიას უმატა, ბურთიც მოიპოვა და ლელოც გაიტანა. 34-ე წუთზე შეტევა კარგად გაიშალა და ლაშხი ამჯერად მარცხენა ფრთაზე გაიქცა, წითელ ზონაში საქმეში მორკინალები ჩაერთვნენ და მიხეილ ბაბუნაშვილმა თანაგუნდელების დახმარებით ლელო გაიტანა. გიორგიმ გარდასახა – 21:10.

მეორე ტაიმი ქართველების შეტევებით დაიწყო, რასაც ჯარიმა და 5-მეტრიანი დერეფნიდან აგორებული მოლი მოჰყვა, რომელსაც შალვა მამუკაშვილი მოწყდა და გუნდის მეოთხე ლელო მოკლე ფრთაზე გაიტანა. შეცვლაზე შესულმა ლუკა მატკავამ რთული პოზიციიდან გარდასახა – 28:10.

ამის შემდეგ სიტუაცია შეიცვალა. სელკნამმა სრულად შეძლო თამაშზე კონტროლის დამყარება და ჩამორჩენის შემცირება.

მეორე საპასუხო ლელო (გარდასახვით) მეტოქემ 48-ე წუთზე გაიტანა. 59-ე წუთზე მსაჯმა ყვითელი ბარათით თენგიზ ზამთარაძე დასაჯა და სელკნამმა ჯარიმით კიდევ 3 ქულა გაქვითა. 69-ე წუთზე ჩილელთა იერიშები კვლავ ლელოთი დასრულდა, თანაც მიხეილ ბაბუნაშვილმა მეორე ყვითელი, ანუ წითელი ბარათი მიიღო და მატჩის ბოლომდე კაცნაკლული დავრჩით. ზუსტი გარდასახვიდან 3 წუთში ჩილელებმა კიდევ ერთი ჯარიმა გაიტანეს და 30:28 დაწინაურდნენ.

მაგრამ შავმა ლომმა წაგება არ ისურვა და დარჩენილ დროში ლამაზი კომბინაცია გამარჯვების ლელოთი დააგვირგვინა. მოლისა და ფორვარდების რამდენიმე დარტყმის შემდეგ გიორგი მარგალიტაძემ, ლუკა მატკავამ და მირიან მოდებაძემ ბურთი ფრაზე აკა ტაბუცაძემდე ჩაიტანეს, სადაც ის ვერავინ შეაჩერა და გამარჯვების ლელო გაიტანა – 33:30.

შავი ლომი მომავალ კვირაში არგენტინაში გადაინაცვლებს და პამპასს ეთამაშება.

განვლილი ორი მატჩი შავი ლომისა და საქართველოს ნაკრების მთავარმა მწვრთნელმა **ლევან მაისაშვილმა** შეაფასა:

– სამხრეთ ამერიკაში სხვადასხვა მოწინააღმდეგეებთან განსხვავებული თამაშები გვაქვს. გუნდებს არ ვიცნობთ, რაც ერთგვარი გამოწვევა და იქს-ფაქტორია.



პირველი მეტოქე შედარებით სუსტი აღმოჩნდა, მაგრამ მხოლოდ ანგარიშით დასკვნებს არ გავაკეთებდი. მქონდა საუბარი დოგოსის მწვრთნელებთან. მათ რამდენიმე ტრავმირებული მოთამაშე ჰყავდათ. თუ გადავხედავთ ჩვენს შემადგენლობას, პირველი ნომრები ჩვენც საკმარისად დავასვენეთ. პირველი ტაიმი ძალიან კარგად ჩავატარეთ. ყველა შესაძლებლობა, რაც გვქონდა გამოვიყენეთ და მოწინააღმდეგე ადვილად გავტეხეთ. ერთიმეორეზე უკეთესი ტაქტიკური ლელოები გავიტანეთ, რაც დასაფასებელია. იყო მოულოდნელობის ეფექტიც. რამდენიმე ლელო ისე გავიტანეთ, მეტოქეს გონზე მოსვლის საშუალება არ მივეცით. შესვენების შემდეგ ორივე გუნდში ბევრი ცვლილება განხორციელდა. არგენტინელებმა პირველი ნომრები შემოიყვანეს და თამაში ოდნავ გათანაბრდა.

მეორე თამაში პრაქტიკულად ჩილეს ნაკრების წინააღმდეგ გვქონდა. სელკნამის სამწვრთნელო შტაბი ჩილეს ნაკრების სამწვრთნელო შტაბია და მათ ეს შეხვედრა ტესტ-მატჩად გამოიყენეს, რადგან შავი ლომიც დიდწილად საქართველოს ნაკრების მორაგბეებითაა დაკომპლექტებული. სელკნამის განაცხადში 19 ისეთი მორაგბე იყო, რომლებმაც აშშ-სთან ისტორიული გამარჯვება მოიპოვეს. სელკნამი სუპერ ლიგაში ასეთი შემადგენლობით არ თამაშობს ხოლმე.

მეტოქე მაქსიმალურად მობილიზებული გვეთამაშა და კარგი ტესტი გამოგვივიდა. ის დოგოსისგან ტაქტიკურად განსხვავებულ რაგბს თამაშობდა. შეცვლების რაოდენობა აქაც არასტანდარტული იყო. გვქონდა დისციპლინის პრობლემები. რაღაც ეპიზოდებში პრევენცია შეიძლებოდა და აუცილებლად გვექნება ანალიზი. და მაინც, ასეთ წნეხში თამაშიც გამოცდილებაა. კარგია, რომ კაცნაკლულებმა გამოვნახეთ ძალა და შევძელით, პასუხი გაგვეცა როგორც მოწინააღმდეგისთვის, ასევე მსაჯისთვის, რომელმაც 4 ყვითელი ბარათი მოგვცა და ფაქტობრივად უბურთოდ დაგვტოვა, სიტუაციას ბოლომდე ვაკონტროლებდით. დასაფასებელია ისიც, რომ მეტოქე არ გატყდა და ბოლომდე იბრძოლა, რაც ჩილესთვის დამახასიათებელია.

**სამგლოვიარო და მისალოცი განცხადებები მიიღება**
**ტელ.: 599-532-690 – 12-დან 17 საათამდე**

# სამტრედია ბოლოა, თელავს ვერც ახალი მწვრთნელი შველის

სანამ სააღდგომო უქმეები იყო, ეროვნულ ლიგაში მერვე ტური დასრულდა. სამი მატჩი გაიმართა და ცხრილშიც ადგილები გვარიანად შეიცვალა. გაგრამ სეზონში პირველად მოიგო, ხოლო სამგურალმა და საბურთალომ ერთნაირი და სოლიდური ანგარიშით იმარჯვეს.



**სამტრედია-გაგრა 1:2**
**სამტრედია. ეროსი მანჯგალაძე**
**0:1 კაკაშვილი (31), 1:1 კილასონია (59პ), 1:2 ნოზაძე (90)**

**სამტრედია:** ბურიჩენკოვი, გვიშიანი (კორიფაძე 49), აბულაძე, კილასონია, უბილავა, ხმალაძე, ხაიბულაევი (რობაქიძე 70), ჩამბა (დ.კირკიტაძე 79), პაპუნაშვილი (ჩიტაიშვილი 79), ნაჭყებია, ინჯგია (ზარიძე 79)

**გაგრა:** ვორობეი, ხოსიტაშვილი, ლ.ნოზაძე, ჯანგიძე, ნემსაძე, შონია (ბუტრიფი 83), კაკაშვილი, ლომთაძე (შუბითიძე 58), მარკონდელე (ჟორდანია 58), ჩაგანავა (ოდიშელიძე 83), მუსელიანი

გაგრამ სამტრედიაში მოიგო და ბოლოდან ბოლოსწინა ადგილზე აინაცვლა. სტუმრები კახაბერ კაკაშვილის დარტყმით დაწინაურდნენ. სამტრედიელთა მეკარე იაროსლავ ბურიჩენკოვს ბურთი ხელიდან გაუვარდა და 0:1...

მეორე ნახევარში სამტრედიამ გაათანაბრა. გიორგი პაპუნაშვილის დარტყმული ბურთი ლუკა ნოზაძეს ხელზე მოხვდა. არბიტრმა გიორგი ვარდიძემ ვარ-ზე გადამოწმების შემდეგ პენალტი დანიშნა და ვარლამ კილასონიამაც ზუსტად დაარტყა – 1:1.

თითქოს ყველაფერი ფრისკენ მიდიოდა, მაგრამ მსაჯის მიერ კომპენსირებულ მეხუთე წუთზე გაგრას გამარჯვება სწორედ ლუკა ნოზაძემ მოუტანა: ბურთი კუთხურის შემდეგ მიუვიდა და ძლიერად გაგზავნა კარში.

გაგრაზე გითხარით, სამტრედია კი, ბოლო ადგილზეა: პირველ ტურში მოგების მერე გუნდმა შვიდ თამაშში მხოლოდ ერთი ქულა აიღო.

**საბურთალო-თელავი 3:0**
**რუსთავი. სფფ ტექნიკური ცენტრი**
**1:0 ჯგერენაია (4), 2:0 სილაგაძე (14), 3:0 მამაგეიშვილი (64)**

**საბურთალო:** კუპატაძე, ც.კაპანაძე, ი.გელაშვილი, ჯგერენაია, კომახიძე, ქარდავა (პარუნაშვილი 79), გ.მამაგეიშვილი (ციცქიშვილი 71), ო.მამაგეიშვილი (მამასახლისი 86), ლ.ნონიკაშვილი (გოშთელიანი 79), ლ.სილაგაძე, სილა (სიხარულიძე 86)

საბურთალომ დამაჯერებლად გაიმარჯვა. თბილისური კლუბი მეხუთე ადგილზეა, თელავი კი მერვეზე დარჩა. სომეხი ვარდან მინასიანის მწვრთნელობით, თელავს ჯერ ქულა არ აუღია – 3 მატჩი, 3 წაგება.

საბურთალო გიორგი ჯგერენაიას თავურით დაწინაურდა; მერე ლუკა სილაგაძემ შორიდან დარტყმით ლამაზი გოლი გაიტანა და მე-14 წუთისთვის უკვე სხვაობა ორბურთიანი იყო; მესამე ბურთი კი ოთარ მამაგეიშვილმა მიითვალა ტექნიკური დარტყმით.

**დილა-სამგურალი 0:3**
**გორი. თენგიზ ბურჯანაძე**
**0:1 ჯეფინიო (19პ), 0:2 ნიქაბაძე (49), 0:3 ჩიხრაძე (76)**

**დილა:** კუჩერენკო, ჩიტეიშვილი, ეტუ, ძოწენიძე, სილვა, სანტოსი, ჟან ვიქტორი, ნ.გაგნიძე, გომისი (გაფრინდაშვილი 67), გეილი, მახარობლიძე (კოვტალიუკი 67)

**სამგურალი:** ყალიჩავა, ბურჯანაძე, პატარკაციშვილი, მაისაშვილი, ბული, ლომინაძე, არტური, ნ.ხორხელი (ჩიხლაძე 83), ჯეფინიო (ლ.ხორხელი 72), კაგაიმა (კალანდარიშვილი 62), ნიქაბაძე (ჩიხრაძე 72)

წყალტუბოს სამგურალმა გორში 3:0 მოუგო დილას და მეოთხე ადგილზე გადაინაცვლა.

მე-19 წუთზე იაპონელმა ტაიკი კაგაიამამ პენალტი მოიპოვა, ბრაზილიელმა ჯეფერსონ ჯერალდომ გამოიყენა და სამგურალი ასე გავიდა წინ. მეორე ტაიმში კი სტუმრებმა ორივე გოლი კარგი კონტრშეტევით გაიტანეს.

ჯერ იყო, მეკარე შეცდა და ჯერალდომ ისარგებლა, ხელსაყრელ პოზიციაში მყოფი გიორგი ნიქაბაძე მოძებნა და მანაც ზუსტად დაარტყა; მესამე გოლი კი შეცვლაზე შესულმა ლადო ჩიხრაძემ ნიკა ხორხელის პასით გაიტანა.

**სატურნირო ცხრილი:**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1.დინამო (ბთ) | 8 | 6 | 2 | 0 | 21-9 | 20 |
| 2.დინამო (თბ) | 8 | 6 | 2 | 0 | 21-10 | 20 |
| 3.ტორპედო | 8 | 4 | 3 | 1 | 10-4 | 15 |
| 4.სამგურალი | 8 | 4 | 1 | 3 | 11-10 | 13 |
| 5.საბურთალო | 8 | 3 | 3 | 2 | 13-9 | 12 |
| 6.დილა | 8 | 2 | 4 | 2 | 5-6 | 10 |
| 7.შუქურა | 8 | 2 | 0 | 6 | 8-13 | 6 |
| 8.თელავი | 8 | 1 | 2 | 5 | 6-14 | 5 |
| 9.გაგრა | 8 | 1 | 2 | 5 | 10-20 | 5 |
| 10.სამტრედია | 8 | 1 | 1 | 6 | 7-17 | 4 |

# საქართველოს ჰოკეის ნაკრების ორი მოგება

ესპანეთის დედაქალაქ მადრიდში დაიწყო ჰოკეიში მსოფლიოს ჩემპიონატის მე-2 დივიზიონის ტურნირი. ა ჯგუფში საქართველოს ნაკრებმა ორი მატჩი გამართა და ორივე მოიგო.

პირველად ჩვენებმა ისლანდია 4:1 დაამარცხეს: პირველ პერიოდში არტიომ კურბატოვმა და ივან მაროვმა გაიტანეს. ორივე შაიბა მეტობაში გავიდა და ორივეჯერ ასისტენტობა ნიკიტა ბუკიამ გასწია.

მეორე პერიოდის დასაწყისში დანილა სლესარევმა ანგარიში 3:0 გახადა. აღსანიშნავია, რომ ამ დროს ჩვენები მოედანზე ნაკლებნი იყვნენ. საქართველომ ერთი მაინც გაუშვა – არმანსონმა გაგვიტანა.

მესამე პერიოდში უკვე ბუკიას დრო დადგა და ჩვენებურმაც საბოლოო ანგარიში დააფიქსირა – 4:1.

ისლანდიასთან მოგების შემდეგ ჩვენმა გუნდმა ისრაელის ნაკრებსაც მოუგო – 7:3. აღსანიშნავია, რომ ამ გუნდებს აქამდე ერთმანეთში მხოლოდ ერთხელ ეთამაშათ – 2019 წელს და მაშინ ასეთივე ანგარიშით ისრაელის ნაკრებმა იმარჯვა.

თამაში ისე დაიწყო, თითქოს ახლაც მათ უნდა მოეგოთ. საქართველოს ნაკრები ჯერ 0:2 ჩამორჩა, შემდეგ გაათანაბრა, მაგრამ ისევ ჩამორჩა. თუმცა, ეს იყო ისრაელის ნაკრების ბოლო დაწინაურება. შემდეგ ჩვენებმა 4 უპასუხო შაიბა შეაგდეს

ჩვენების ჯგუფში ესპანეთის, ხორვატიის, ისრაელისა და ავსტრალიის ნაკრებები ასპარეზობენ. მოგებული 1 დივიზიონის ბ ჯგუფში გადავა, ხოლო ბოლოადგილოსანი მე-2 დივიზიონის ბ ჯგუფში დაქვეითდება.

ორი ტურის შემდეგ ესპანეთს, საქართველოსა და ხორვატიას 6-6 ქულა აქვთ, ხოლო ავსტრალიას, ისრაელსა და ისლანდიას – 0.

მომდევნო მატჩს საქართველოს ნაკრები ესპანეთის წინააღმდეგ გამართავს.

*მოამზადა მიხეილ ჟორჟოლიანმა*

## კროსვორდი ბ

**შვეულად:** 1. ქართველი პოლიტიკოსი მამაკაცი, პარლამენტის წევრი, ექიმი; 2. მარგალიტის ყელსაბამი; 3. რაიმე სადავო საკითხის საჯარო განხილვა-კამათი; 4. საქარგავი ფერადი ძაფი; 5. უბანი ძველ თბილისში; 8. მინერალური წყალი ბორჯომის ხეობაში; 9. ჩინური ფაიფური; 12. გეომეტრიული ფიგურა; 13. იტალიის კუნძული ხმელთაშუა ზღვაში; 16. ისტორიული სატუსაღო პარიზში; 17. გრეიპფრუტის ქართული სახელწოდება; 19. კომპანია „ამაზონის" მფლობელი; 20. წმინდანად შერაცხული ქართველი არქიმანდრიტი, თეოლოგიის დოქტორი.

**თარაზულად:** 6. უქნარა, უსაქმური ადამიანი; 7. ქართული ხალხური სიმღერისა და ცეკვის ანსამბლი; 8. რაიმე ნაკეთობის შემცირებული ზომის ნიმუში; 10. ჭაობის ნაპირებთან ბინადარი დიდი ბუ; 11. ფრანგი კინოვარსკვლავი ქალი; 14. ჩეჩენ-ინგუშთა საერთო სახელწოდება ძველად საქართველოში; 15. განცალკევებული ოთახი ახლად დაქორწინებული ნეფე-დედოფლისთვის ძველად; 18. აეროპორტი ნიუ იორკში; 21. სპეციალური საიდუმლო დავალებით გაგზავნილი პირი; 22. ბალნეოლოგიური კურორტი სამეგრელოში; 23. თურქეთის ტერიტორიაზე მდებარე ქართული მონასტერი; 24. ლეონკავალოს ოპერა.

*შეადგინა თ.გოგინაშვილმა*



## წინა ნომერში გამოქვეყნებული კროსვორდების პასუხები:

**კროსვორდი ა**

**შვეულად:** 1. დილემა; 2. ვისკი; 3. ელიავა; 4. უჯარმა; 6. პროექტი; 9. საარი; 11. ბიშკეკი; 15. ალარმისტი; 16. დაბალი; 17. მუჰამედი; 19. ისტვუდი; 21. რუბენსი; 22. ქარაფი.

**თარაზულად:** 5. ყინწვისი; 7. რონდელი; 8. საუნჯე; 10. გაგნიძე; 12. მონცა; 13. რკინა; 14. ბერნადოტი; 18. ტოკაი; 20. ბათუმი; 23. ტაიმსი; 24. ბეკი; 25. მულამი; 26. ფეტა; 27. ფსიქოზი.

**კროსვორდი ბ**

**შვეულად:** 1. სპეკალი; 2. ამსტელი; 3. შიფონერი; 4. ლოპესი; 5. კარმენი; 8. ჩაპლინი; 9. ხოჭოლავა; 12. ბარტოლდი; 13. გურზუფი; 16. ბერიკები; 17. ლაკმუსი; 19. ლაზარე; 20. მოხელე.

**თარაზულად:** 6. ოპტიმიზმი; 7. ხორბალი; 8. ჩხოუში; 10. კანბერა; 11. იედო; 14. ილუზიონი; 15. ბრასკუბა; 18. კესონი; 21. ალფესკო; 22. შოლცი; 23. ერზაცი; 24. ფილისტერი.

# ახალი თაობა

akhalitaoba.ge

19 აპრილი


## ქართული ლარის მიმართ უცხოური ვალუტების გაცვლითი კურსი

| | |
|---|---|
| აშშ დოლარი — 2.5197 | ევრო — 2.7651 |
| დიდი ბრიტანეთის გირვანქა სტერლინგი — 3.1340 | 100 რუსული რუბლი — 3.0861 |

## ამინდის პროგნოზი 19 აპრილისათვის




ეროვნული ბიბლიოთეკა

## ტომას ტუხელი: „ბაიერნს სიტის დამარცხება შეუძლია“

მიუნხენის ბაიერნის მთავარმა მწვრთნელმა ტომას ტუხელმა განაცხადა, რომ მის გუნდს აქვს შანსი, ორი მატჩის ჯამში სიტის ბარიერი დაძლიოს, მიუხედავად იმისა, რომ პირველ შეხვედრაში ისინი 0:3 დამარცხდნენ: „პირველი მატჩი წავაგეთ და რთული ამოცანის წინაშე ვდგავართ, თუმცა ყველაფრის გამოსწორება შეიძლება და ჩვენ ამის გაკეთებას შევეცდებით. ბაიერნი საკუთარ მოედანზე ძალიან ძლიერია“.

## მესის პსჟ-ში დარჩენა არ სურს



ლიონელ მესის პსჟ-ში დარჩენა არ სურს და ამის შესახებ გუნდის ხელმძღვანელობას უკვე აცნობა. მიუხედავად ამისა, პსჟ-ს ბოსები მაინც ცდილობენ მის დაყოლიებას და უფრო მეტ ანაზღაურებას სთავაზობენ. მესიმ რამდენიმე კვირის წინ თქვა, რომ ევროპაში დარჩენა სურს და, დიდი ალბათობით, ბარსელონაში დაბრუნდება. ბარსელონაში მესის დაბრუნება ყველას სურს.

## კლოპი: „ლიდსთან შესანიშნავად ვითამაშეთ“

ლივერპულმა სტუმრად ლიდსი დაამარცხა 6:1. იურგენ კლოპის თქმით, მათ სეზონში ერთ-ერთი საუკეთესო თამაში ითამაშეს. კლოპმა აღიარა, რომ წელს ლივერპულს სტაბილურობა აკლია: „დღეს შესანიშნავად ვითამაშეთ, მაგრამ, სამწუხაროდ, ეს მხოლოდ 3 ქულაა. წელს სტაბილურები არ ვართ და ეს სეზონი ჩვენთვის წარმატებული არ არის. მომავალ წელს ყველაფერი უნდა შეიცვალოს“.

*მოამზადა ბექა გოგინაშვილმა*

## ქართველი და უკრაინელი ხელოვანები ქველმოქმედებისთვის ერთიანდებიან

28 აპრილს სოხუმის თეატრში ჩატარდება საქველმოქმედო კონცერტი „უკრაინა + საქართველო. ერთმანეთის გვერდით“.

ღონისძიებაში მონაწილეობას მიიღებენ თბილისის სახელმწიფო ოპერისა და ბალეტის თეატრის კამერული ორკესტრი „ოპერის კამერატა“ მიხეილ მენაბდის დირიჟორობით, სოლისტის ამპლუაში კი მსმენელის წინაშე წარდგება უკრაინელი მევიოლინე ანდრეი პავლოვი.

„ერთობა“ – ასეთია ერთი სიტყვით ამ კონცერტის იდეა და კომპოზიცია. საკონცერტო პროგრამა გააერთიანებს ორ მუსიკას – უკრაინულსა და ქართულს. ბრწყინვალე კომპოზიტორები გია ყანჩელი და ვალენტინ სილვესტროვი, მსოფლიო მუსიკალური კულტურის საგანძურის წარმომადგენლები, ამავე დროს, კარგი მეგობრები და ჭეშმარიტი თანამოაზრენი იყვნენ.

გაგრძელება მე-4 გვერდზე

## ასტროპროგნოზი



19 აპრილისათვის

**ვერძი** – აგრესიულობა და ლიდერობისკენ სწრაფვა კოლეგებთან და ახლობლებთან ურთიერთობას გაგიფუჭებთ. ამას შესაძლოა ფინანსური დანაკარგებიც მოჰყვეს. **კურო** – ფინანსური ოპერაციებისას სიფრთხილე და თავშეკავება გამოიჩინეთ. ზოგიერთი ნაცნობის მიმართ ქცევის შეცვლა მოგიწევთ. ერიდეთ კონფლიქტურ სიტუაციებს და უფრო რბილი და მოქნილი იყავით. **ტყუპები** – პასიური დღეა. თუ სისუსტეს გამოიჩენთ, ეს თქვენს წარმატებაზე უთუოდ აისახება. ზედმეტი მზრუნველობა ახლობლებისადმი საჭირო არ არის. **კირჩხიბი** – ძალზე იღბლიანი დღეა, განსაკუთრებით – საჯარო მოხელეთათვის. ექსპერიმენტებისგან თავი შეიკავეთ. **ლომი** – ნუ აჩქარდებით. პროფესიონალურ სფეროსა და პირად ცხოვრებაში შეცდომის დაშვების უფლება არ გაქვთ. ზედმეტი მიმნდობლობა ფინანსურად დაგაზარალებთ. **ქალწული** – საკუთარი პრინციპები მტკიცედ დაიცავით. თქვენი ავტორიტეტის შებღალვის უფლება არავის მისცეთ. ჯანმრთელობას მეტი ყურადღება მიაქციეთ. **სასწორი** – ხელშეკრულებების გასაფორმებლად, მივლინებებისათვის შესაფერისი პერიოდია. მიმართეთ ძველ მეთოდებს. ექსპერიმენტები რეკომენდებული არ არის. **მორიელი** – ნუ გარისკავთ. ერიდეთ ჯანმრთელობასთან დაკავშირებულ ქმედებებს, ასევე ქალაქგარეთ გასვლას. დიდია ტრავმის მიღების ალბათობა. **მშვილდოსანი** – სასიცოცხლო პოტენციალი იზრდება. ეს დღე თქვენი შემოქმედებითი ალმავლობის დასაწყისია. სისუსტეს ნუ გამოიჩენთ. **თხის რქა** – ახალი საქმის დასაწყებად შეუფერებელი დღეა. ნებისმიერი ინიციატივა კრახით დამთავრდება. ფინანსებს გაუფრთხილდით. **მერწყული** – კარგი პერიოდია ხანმოკლე მივლინებებისა და საქმიანი შეხვედრებისათვის. მთავარია, მომენტი სწორად შეარჩიოთ. ნუ ეტყვით უარს მეგობრებს დახმარებაზე. **თევზები** – ძალზე კეთილისმყოფელი დღეა. გიუმჯობესდებათ მატერიალური მდგომარეობა. პროფესიონალური და პირადი საკითხების გადასაწყვეტად მშვენიერი პერიოდია.

**გისურვებთ ბედნიერ დღეს!**

## იუმორი

ევა ერთადერთი ქალი იყო, რომელმაც თქვა: „სრულიად არაფერი მაქვს ჩასაცმელი!“ და ერთადერთი ქალი, რომელიც სიმართლეს ამბობდა.

●●●

ელექტრიკოსს მიასვენებენ. ხალხიდან ერთ-ერთმა წამოიძახა:

– ოჰ, სრულიად ახალგაზრდა ყოფილა. რამდენი იყო?

– სამას ოთხმოცი ვოლტი...

●●●

მასწავლებელი კითხვას სვამს:

– აბა, ბავშვებო, ვინ მიპასუხებს, რომელი უფრო სწრაფად მოძრაობს, მტრედი თუ ცხენი?

– თუ ფეხით, მაშინ ცხენი, – უპასუხა გიგიმ.

●●●

ექიმი პაციენტს:

– სასწრაფოდ უნდა დაიკლოთ წონაში, მკაცრ დიეტაზე უნდა გადახვიდეთ.

– რა უნდა გავაკეთო?

– მხოლოდ ცოტა მოხარშული მჭლე ხორცი, უარი უნდა თქვათ ტკბილეულზე, პურფუნთუშეულზე, არანაირი ალკოჰოლი და მინიმუმამდე უნდა შეამციროთ სექსუალური კონტაქტები... და ყველაზე მთავარი, დატკბით ცხოვრებით!!!

*მოამზადა კახა ხატიაშვილმა*

## გიორგი გაბუნია გოგონას მამა გახდა



ტელეკომპანია „იმედის“ იუმორისტული გადაცემის „ღამის შოუს“ წამყვანი გიორგი გაბუნია გოგონას მამა გახდა. მისმა მეუღლემ ნინი ფუტკარაძემ ქუთაისში იმშობიარა. პატარას ახალბედა მშობლებმა კირა დაარქვეს. ახალშობილი თავს კარგად გრძნობს.

სასიხარულო ინფორმაცია იუმორისტმა ინტერნეტით თავად გაავრცელა და უამრავი მილოცვა და საუკეთესო სურვილებიც მიიღო:

– ქუთაისში ხონელიძის კლინიკაში დაიბადა ქალბატონი კირა გაბუნია, დედას და მამას საყვარელი გოგო.

## მერაბ სეფაშვილმა ახალი სიმღერა ჩაწერა



მომღერალმა მერაბ სეფაშვილმა ახალი სიმღერა ჩაწერა. კომპოზიტორ თამაზ ჯორბენაძის „იასამანი აყვავდა“ პროექტ „ხელნაწერი ნოტების“ ერთ-ერთი ნაწილია. სიმღერისთვის ტექსტი ვახტანგ გოგოლაშვილმა დაწერა.

მერაბ სეფაშვილის სიმღერა თბილისის ოპერისა და ბალეტის თეატრის სიმფონიურმა ორკესტრმა ააჟღერა. საორკესტრო ვერსიის ავტორი ნიკა ნიკვაშვილია.

პროექტის სცენარის ავტორი და სამხატვრო ხელმძღვანელი კომპოზიტორის შვილი თეონა ჯორბენაძეა.

## ბესო სოლომანაშვილის ფილმს ამერიკაში აჩვენებენ



რეჟისორისა და მწერლის ბესო სოლომანაშვილის ფილმს „ბოსტანი კონფლიქტის ზონაში“ ამერიკაში აჩვენებენ. რეჟისორმა ფილმი მწერალ თამრი ფხაკაძის ამავე სახელწოდების მოთხრობის მიხედვით გადაიღო.

ფილმის ჩვენებები, რომელშიც მთავარ როლს დუტა სხირტლაძე ასრულებს, 21 აპრილიდან ნიუ ჯერსის შტატიდან დაიწყება. მისი ნახვა შეეძლება როგორც ქართულ დიასპორას, ასევე ყველა დაინტერესებულ პირს. 25 აპრილს ფილმს უკვე ნიუ იორკში ნახავენ.

ბესო სოლომანაშვილი ფილმთან ერთად კინოჩვენებებზე მისულ საზოგადოებას საკუთარ წიგნებსაც წარუდგენს:

– ვაჩვენებთ ფილმს, წარვადგენთ წიგნებს და ვისაუბრებთ ლიტერატურაზე, კინოზე, სამშობლოზე და ყველაფერზე. ვღელავ ძალიან და გელოდებით.

## გიორგი სისაურის ნამუშევრები იტალიაში გამოიფინება



კალიგრაფ გიორგი სისაურის მიერ ქართული ანბანისადმი მიძღვნილი ნამუშევრები 20 აპრილიდან იტალიაში გამოიფინება:

– ძალიან ბედნიერი ვარ, რომ ჩვენს საუნჯეს, რომელსაც ქართული ანბანი ჰქვია, კიდევ ერთხელ ვადიადებთ ამ ექსპოზიციით ევროპაში და მით უფრო მსოფლიოს ცენტრში, ხელოვნების მექაში – იტალიაში. ვატიკანის წმინდა საყდარი უმასპინძლებს „ანბანთქებას“ მთელი თავისი მშვენიერებითა და მაგიით.

„სამოთხის შეხება“ აერთიანებს 38 საზედაო ასოსა და 19 რელიგიურ თემაზე შექმნილ გამოსახულებას ჩემი ბოლო კოლექციიდან, რომლის შექმნაც 2022 წლის დასაწყისში არაბთა გაერთიანებულ საამიროებში ცხოვრებისას დავიწყე.

პირველად აღმოჩნდა შინაგანი ღელვის საგანი ამ ექსპოზიციის მოწყობა, რადგან მარტივი პასუხისმგებლობა როდია, რენესანსის აკვანში – დიადი მიქელანჯელოსა და რაფაელის ფრესკების გვერდით ჩემი ხელოვნება გავაზიარო, ჩვენი კულტურის უდიდესი მონაპოვარი – ქართული ანბანი გავუზიარო მსოფლიოს და ერთი ნახვით თავდავიწყებით შევაყვარო ყოველი ასო-ნიშანი.

ჩემი დამოკიდებულება ანბანის მიმართ ბევრმა იცით, თუმცა მინდა გაგიზიაროთ ამ ბოლო სერიის შესახებ რამდენიმე სიტყვა. ხატვა, შეიძლება ითქვას, რელიგიური ჟანრის გამოსახულებებით დავიწყე ღრმა ბავშვობაში. წლების განმავლობაში სახებათა ნაირგვარობა მუდმივად ცვალებადი იყო. ამ მომენტში კი მოცემული კოლექცია გამოხატავს ჩვენს გენეტიკურ მეხსიერებაში გაჯერებულ საკრალურ საზრისებსა და ხატებებს, თანამედროვეობის ჭრილიდან დანახულს.

ქართული კულტურა მდიდარია ისეთი უნიკალური საეკლესიო მხატვრობის ნიმუშებით, როგორებიცაა გელათის, ატენის სიონის, ყინწვისისა და სხვა მრავალი მოხატულობა ჩვენი წარსულიდან. ჩვენი ვალია, დავიცვათ ყოველი ასეთი ქმნილება ყველანაირი საფრთხისგან.

თუ ამ ნამუშევრებს დააკვირდებით, დაინახავთ, თუ როგორ იშლება გამოსახულება, თითქოს რესტავრაციას, აღდგენას საჭიროებს და ამ ფორმებში ისახება ახალი სახეები და აბსტრაქტული ობიექტები.

ჩემთვის ეს უხილავი კავშირია და ჩაუცხრომელი ვნება – შევქმნა რაღაც ისეთი, რაც შერწყმული იქნება ჩვენს კულტურულ იდენტობასთან, უდიდეს კულტურულ წარსულთან და, ამავდროულად, თანამედროვეობასა თუ მომავლის კონცეპტუალურ, ირეალურ ხედვებთან, სადაც კანონიკის მიღმა არსებული სულიერებაც ცოცხალია, სადაც იდეა ინაყოფებს ათასგვარად...

21 აპრილს დანტე ალიგიერის დარბაზში ერთ-ერთი ასეთი ფორმა დაიბადება და პირველად წარდგება ფართო აუდიტორიის წინაშე. მინდა, ხმა მივაწვდინოთ იტალიაში მცხოვრებ ჩვენს ემიგრანტებს, რომელთათვისაც, ვფიქრობ, საინტერესო იქნება ეს ექსპოზიცია, მით უფრო ბრწყინვალე შვიდეულის კვირაში.

*მოამზადა ეკა ირემაშვილმა*

## კროსვორდი ა

**შვეულად:** 1. ინგლისის პრემიერ-მინისტრი; 2. არყის სასმელი პატარა ჭიქა; 3. მსუბუქი ტრფიალი, არშიყობა; 4. შავი ფერის მელიას ძველი ქართული სახელწოდება; 6. უნგრელთა მეორე სახელწოდება; 9. ისტორიული ციხე-სიმაგრე ქობულეთის მახლობლად; 11. ქარიშხალი წყნარ ოკეანეში; 15. წყალქვეშა ნავის ძველებური სახელწოდება; 16. ღარიბთა უბნების სახელწოდება ბრაზილიის ქალაქებში; 17. უბანი სოხუმში; 19. სპეციალური დანიშნულების მატარებელი; 21. ეკიპაჟის საცხოვრებელი გემზე; 22. ბუნებრივი ნაკრძალი ქვემო ქართლში.

**თარაზულად:** 5. ძუნწი, ძალზე ხელმომჭირნე ადამიანი; 7. ნიდერლანდური ლუდი; 8. ჰომეროსის ეპიკური პოემა; 10. ვეტერინარის ძველებური სახელწოდება; 12. კოლხეთის მითოლოგიური მეფე; 13. ბრინჯისგან მომზადებული აღმოსავლური კერძი; 14. საეკლესიო წესით ქორწინება; 18. ათქვეფილი კვერცხის ცილისგან მომზადებული კულინარიული ნაწარმი; 20. დიდი ქრისტიანული დღესასწაული; 23. კურკოვანი ხილი; 24. საერთაშორისო ოლიმპიური კომიტეტის პრეზიდენტი; 25. სოციოლოგიური კვლევის ამერიკული ცენტრი; 26. თიხის ჭურჭლის გამოსაწვავი ქურა; 27. სამგზავრო ავტობუსების მწარმოებელი უნგრული ფირმა.

*შეადგინა თ.კოპალეიშვილმა*

